# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 6 დეკემბერი 2003 №233 (2004) · ფასი 50 თეთრი





REUTERS

# ჩვენი იმედი დარდიანია

## საქართველოს წილი ევრაზიულ დერაფანში

*გუშინ უამრავი ქვეყნისთვის იმედის საღამო იყო, მათ შორის საქართველოსთვის. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს ეს იმედის საღამო ეწვევა-ხოლმე. მეტადრე ბოლო სამი წილისყრისას, როცა მეტოქეებად ისეთი გუნდები გვერგება, რომელთა დამარცხებაც წარმოუდგენლად არ ჩანს.*

*ასეთი წილისყრა იყო გუშინაც. საქართველოს ასცდა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, ჩეხეთი, პორტუგალია. თითქოს მეტიც რა გინდა... სამაგიეროდ, საქართველოს ერგო თურქეთი, დანია, საბერძნეთი და უკრაინა — თავისთავად ძლიერი გუნდები, საქართველოსთვის კი ძალიან ძლიერები. მეორე მხრივ კი, აბა, მხოლოდ ყაზახეთი და მისთანები უნდა გვრგებოდა?*

*ერთი სიტყვით, ჯგუფი ისეთია, ჯახირი და მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეიძლება, ოღონდ...*

*საქართველოსთვის წინა შესარჩევი ეტაპებიც იმედით იწყებოდა და თუ როგორ მთავრდებოდა, გახსენებაც არ გვსურს. ამიტომ დიდ მხიარულებას ნუ მივეცემით იმის გამო, რომ ინგლისი, საფრანგეთი და მისთანები აგვცდნენ. უფრო სწორად, ჩვენ ავცდით, თორემ ისინი საქართველოს მეტოქეობით დიდად არ იდარდებდნენ.*

*ისე, ვისაც ვერ ავცდით, დიდად არც ისინი დარდობენ.*

*თურქეთი გვიგებს? გვიგებს. საბერძნეთი გვიგებს? გვიგებს. უკრაინა გვიგებს? გვიგებს. ალბანეთი რომ ვერაფრით მოვიშორეთ, ისიც გვიგებს? გვიგებს. დანია არასდროს შეგვხვედრია, თორემ ეჭვი გვაქვს, მოგვიგებდა. ვინ დარჩა? ყაზახეთი. იმედია, მოვუგებთ.*

*იმედია, სხვებსაც მოვუგებთ — ამბობენ, ქართულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვლება, მართლა მწვრთნელს მოვიყვანთო. მაგრამ რაკი დაპირება ბევრი გვახსოვს, შესრულებული კი თითქმის არაფერი, ნუ ვიყვირებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად უნდა გავიდეთ. უბრალოდ ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ისევე ძალიან გვინდა, როგორც აქამდე გვინდოდა. ყოველი წილისყრის მერე ხომ იმედი თავიდან გვიჩნდება.*

# LIVE ფრანკფურტიდან

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. წილისყრა

## II ჯგუფი: თურქეთი, დანია, საბერძნეთი, უკრაინა, საქართველო, ალბანეთი, ყაზახეთი



**ვალერი ჩოლარია**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი: წილისყრის დამთავრებისთანავე ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები განვცალკევდით და კალენდარზე მოლაპარაკებას შევუდექით. შეხვედრას მწვრთნელებიდან მხოლოდ ოტო რეჰაგელი და ოლეგ ბლოხინი ესწრებოდნენ, სხვა ქვეყნებიდან კი ფედერაციის ხელმძღვანელები იყვნენ. ყველას ერთი აზრი შეგვექმნა, ძლიერ და თანაბარ ჯგუფში მოვხვდით.

**— კალენდარზე მორიგდით?**

— დიახ, თუ რამე სასწაული არ მოხდა, 28 იანვრიდან 5 თებერვლამდე სტამბოლში შევიკრიბებით და კალენდარს შევადგენთ. თურქების მიწვევას ყველა ერთხმად დავთანხმდით. ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ თავიდანვე თქვა, პირველ ნომრად ვიყავით განთესილნი და პატივი გვეცით, სტამბოლში ჩამოდითო.

**— თქვენ რომელი გუნდები მიგაჩნიათ ჯგუფის ფავორიტებად?**

— თურქეთი, დანია და უკრაინა.

**— საბერძნეთი?**

— ჩვენი აზრით, საბერძნეთზე მეტი შანსი ამათ აქვთ.

**— ჩვენზე ჯვარდაწერილმა ალბანელებმა რაო...**

— მოვიკითხეთ ერთმანეთი და ვთქვით, ჩვენს შორის წინა შესარჩევ ციკლზე დაძაბული მატჩები ახლა იქნება.

**— ფინანსური თვალსაზრისით კმაყოფილი ხართ?**

— როგორ უნდა ვიყოთ კმაყოფილნი. წილისყრის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი ჩვენს ჯგუფში ვერ მოხვდებოდნენ. ეს ის გუნდები არიან, რომლებიც მატჩების ჩვენების უფლებაში სოლიდურ თანხას იხდიან. რას ვიზამთ, ამ მხრივ არ გაგვიმართლა, თუმც კი ადრეც არაერთხელ გვითქვამს, ეს პრობლემა არაა, უცხოელი მწვრთნელის მოსაწვევად ფულს როგორმე გამოვნახავთ.

**— შეხვდით მწვრთნელობის კანდიდატებს?**

— მწვრთნელებს არა, მათ წარმომადგენლებს ვესაუბრეთ.

**— კონკრეტულად რომელი მწვრთნელების წარმომადგენლებს შეხვდით?**

— ვერ გეტყვით, ახლაც ერთ-ერთი მწვრთნელის აგენტს ვესაუბრები, მერაბ ჟორდანია კი მიშელ პლატინისთან ერთად არის. სწორედ მწვრთნელის თაობაზე ელაპარაკება.

**ძობა ინასარიძე**

**მორტენ ოლსენი**, დანიის ნაკრების მწვრთნელი: წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო ვარ. ჯერ ერთი, ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები არიან და მეორეც, დანიის გარდა ექვსივე გუნდი თითქმის ერთი რეგიონიდან არის. სხვა თუ არაფერი, მგზავრობით დავიღლებით.

**— ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდები ვართო, თქვით. დანიას ფავორიტად არ თვლით?**

— შესაძლოა, მცირე უპირატესობა მართლაც გვქონდეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჯგუფში ბევრი ქულა დაიკარგება.

**— ქართულ ფეხბურთს იცნობთ?**

— საქართველოში ნამყოფიც კი ვარ. ვიცი, რომ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ და ვფიქრობ, დანია — საქართველოს მატჩები ლამაზი იქნება. ჩვენც ხომ ტექნიკურ ფეხბურთს ვაფასებთ.

**— ორი ქართველი ფეხბურთელის შესაძლებლობები კი კარგად გეცოდინებათ.**



მორტენ ოლსენი 1997 წელს საქართველოში სტუმრობისას

— რა თქმა უნდა. შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე „აიაქსში" მაშინ მოვიდნენ, როცა მე ამ გუნდის თავკაცი ვიყავი. საოცრად ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, ბურთის ფლობაში მათ ბევრი ვერ შეედრება. საქართველოს ნაკრებში კიდევ სამ ფეხბურთელს გამოვარჩევ — კალაძეს, კობიაშვილსა და ნემსაძეს, მათი თამაში რამდენჯერმე მინახავს.

**— სხვა გუნდებზე რას იტყვით?**

— ყველა გუნდს აქვს ძლიერი და სუსტი ადგილი, მათ შორის დანიასაც. უკრაინა და თურქეთი სახიფათო გუნდები არიან, ძლიერია საბერძნეთიც, ალბანეთსა და ყაზახეთს კი კარგად არ ვიცნობ, თუმც აუტსაიდერებად ვერც ერთს ჩავთვლი.

**— მსოფლიოს შესარჩევამდე დანიამ ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს. თქვენს შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— გააჩნია, ჩვენი ფეხბურთელები როგორ ფორმაში იქნებიან. ისინი ხომ იტალიაში და გერმანიაში მრავლად თამაშობენ, სადაც საკმაოდ დატვირთულები არიან. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ შესაძლოა ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ და დაკარგონ საუკეთესო თვისებები. მიუხედავად ყველაფრისა, ჯგუფიდან გასვლას ვეცდებით.

**— ჩემპიონობაზე არ ფიქრობთ?**

— გაგვიჭირდება.

**ოლეგ ბლოხინი**, უკრაინის ნაკრების მწვრთნელი: ერთი შეხედვით, ჯგუფი თანაბარია, აშკარა ფავორიტი არ ჩანს. ამით კი ჩვენ კმაყოფილები ვართ. საბედნიეროდ, როგორც იქნა, ავცდით სომხეთს, რომელმაც უკვე რამდენჯერმე მნიშვნელოვანი ქულები დაგვაკარგვინა. საერთოდ კი, უკრაინის ნაკრებს ცუდად აქვს დაცდილი, როცა ჯგუფში გამოკვეთილი აუტსაიდერი ჰყავს, ჩვენ მათთან წინასწარ დაგეგმილ ქულებს ვკარგავთ-ხოლმე. წინა ევროშესარჩევშიც ხომ უკრაინამ შინ ჩრდილოეთ ირლანდიას ვერ მოუგო.

**— ჯგუფის აუტსაიდერად ყირგიზეთს არ თვლით?**

— არა, რადგან ამ გუნდს საერთოდ არ ვიცნობ.

**— სხვა გუნდებს იცნობთ?**

— ვიცი დანიური ფეხბურთი. საბერძნეთში რამდენიმე წელიწადი თავად ვმუშაობდი, ალბანელებთანაც არ გვექნება იოლი მატჩები. თურქეთის ნაკრები რამდენჯერმე საქმეში მინახავს. მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე თურქების ვერმოხვედრა სასწაული იყო. საქართველო კი...

**— რა საქართველო?**

— ყველაზე მეტად, ალბათ, ქართველებთან გაგვიჭირდება. საქართველოს ამ შესარჩევ ციკლში ისეთი გუნდი აღარ ეყოლება, როგორც აქამდე. ვიცი, რომ მწვრთნელს ეძებთ.

**— თბილისში ბოლოს როდის იყავით?**

— ზუსტად არ მახსოვს, 1987 თუ 88 წელი იყო.

**— საქართველოს ექნება ჯგუფიდან გასვლის შანსი?**

— რა თქმა უნდა. საქართველომ თუ თამაში ააწყო, მერე უკვე ტექნიკური ქართველი ფეხბურთელების შეჩერება ძალიან ძნელი საქმე იქნება. იცით, რაც უკრაინაზე ვთქვი, იგივეს საქართველოზე გავიმეორებ — დაუგეგმავი ქულები არ უნდა დაიკარგოს. რეალურად საქართველო ალბანეთზე ძლიერია, ალბათ, ყაზახეთზეც. უკრაინა, საბერძნეთი და საქართველო თითქმის ერთ დონეზე არიან.

**— უკრაინის ნაკრების მწვრთნელად ახალდანიშნული ხართ. ბურიაკის გუნდს მნიშვნელოვნად შეცვლით?**

— ფეხბურთს ბლოხინი თავისებურად უყურებს. რა თქმა უნდა, ცვლილებები იქნება, უკრაინაში ახლა ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელია და ვეცდები, მათ უფრო დიდი გასაქანი მივცე.

**— თქვენს შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— მოკლედ გეტყვით, ამ ჯგუფში უკრაინამ შესაძლოა პირველი ადგილიც დაიკავოს და მეოთხეც.



**ჰანს-პიტერ ბრიგელი**, ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი: ველოდი, რომ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილი მოგვიწევდა. უკმაყოფილო სულაც არ ვარ, ალბანეთის ნაკრებს დღეს ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ შინ ექვსივე მეტოქე დაამარცხოს და სტუმრადაც ერთი-ორი ქულა მოიპოვოს. ფავორიტებად თურქებს და დანიელებს ვთვლი, თუმც შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე საკმაო დროა და არავინ იცის, თამაშებამდე ვინ როგორი მომზადებული იქნება.

**— საქართველოს ნაკრებს უკვე ორჯერ შეხვდით...**

— თბილისში ჩვენ სამმა ელემენტალურმა, უხეშმა შეცდომამ დაგვღუპა. ვფიქრობ, სამბურთიანი სხვაობით წაგებას არ ვიმსახურებდით, ტირანაში კი ალბანეთმა თავის რეალური ძალა აჩვენა. საქართველო და ალბანეთი თითქმის ერთ დონეზე არიან და ამ შესარჩევშიც დაძაბული მატჩები გველის.

**— სხვა გუნდებზე რას იტყვით?**

— ხომ გითხარით, ფავორიტებად დანია და თურქეთი მიმაჩნია, მათ დავაში, ალბათ, საბერძნეთი ჩაერევა, უკრაინას კი უფრო ნაკლები შანსი აქვს. თუმც ალბანეთს და საქართველოს წინასწარ ნურავინ ჩამოწერს. ალბანეთი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის.



**— ყაზახეთი ჩამოწერეთ?**

— არა, ასე ნუ ფიქრობთ. ეს გუნდი დებიუტანტია და მისი ძალა არავინ იცის. შესაძლოა, მათ რომელიმე გუნდი გაამწარონ.

**— როგორც ვიცით, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ახლახან კონტრაქტი გააგრძელეთ.**

— დიახ, ალბანეთის ნაკრების მწვრთნელად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლომდე ვიმუშავებ. კონტრაქტს ერთი თვის წინ მოვაწერე ხელი.

**ძობა ინასარიძე**

*ნუხელ საბერძნეთის ნაკრების გერმანელ მწვრთნელთან, ოტო რეჰაგელთან დაკავშირების უშედეგო მცდელობის მერე საბერძნეთის ტელევიზიაში მეგობარ ჟურნალისტს დავურეკეთ და მისგანაც იგივე პასუხი მივიღეთ — რეჰაგელი ძალიან უცნაური კაცია, არცერთ ბერძენ ჟურნალისტს ხანგრძლივად არ დაგველაპარაკა, ფრანკფურტიდან პირდაპირი ჩართვა და ვრცელი კომენტარის მოსმენა გვინდოდა და უარი გვითხრაო*

როგორც ბერძენმა ჟურნალისტმა გვამცნო, რეჰაგელს თავში მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი უტრიალებსო. ამიტომაც რეჰაგელის მხოლოდ ძალიან მოკლე კომენტარი შეგვიძლია შემოგთავაზოთ: „ჩვენი მთავარი მეტოქეები თურქეთი და დანია არიან. ვფიქრობ, უკრაინასაც საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს. სიურპრიზი შეიძლება ალბანელებმაც შემოგვთავაზონ."

აი, სულ ეს იყო გერმანელის კომენტარი, სამაგიეროდ, უფრო ენაწყლიანი რეჰაგელის თანაშემწე გამოდგა, რომლის საბერძნეთის ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუს შინაარსიც ასეთია: „ფავორიტები ჩვენ, თურქეთი და დანია ვართ. თუმცა მთლიანობაში ჯგუფში მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარეს თავი. გასაგები მიზეზების გამო ყველაზე რთული ალბათ თურქეთთან თამაში იქნება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთში უამრავი ალბანელი ცხოვრობს, მათ ნაკრებს ჩვენთან სტუმრობისას დიდი მხარდაჭერა ექნება. საქართველოსთან ერთ ჯგუფში ადრეც მოვხვდით და მაშინ დავამარცხეთ, მაგრამ მათ ახლანდელ ძალაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ყაზახეთზე კი საერთოდ არაფერი ვიცით, ერთადერთი ის გვაწუხებს, რომ იქ ჩასასვლელად ძალიან დიდი გზის გავლა მოგვიწევს."

**ძოტე ძეძელია**

# Comment



**გიორგი ნემსაძე:** დანიისა და ყაზახეთის გარდა ყველა გუნდთან გვითამაშია — დანარჩენ ოთხ გუნდთან თამაშის გამოცდილება გვაქვს. მოკლედ, შესაძლოა, უფრო ძლიერ ჯგუფშიც მოვხვედრილიყავით. ამ ჯგუფის შემადგენლობა კი ძალიან საინტერესოა, რადგან თითქმის თანაბარი ძალის გუნდები არიან თავმოყრილნი. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს აქვს იმის პოტენცია, რომ ამ მარაქაში გაერიოს, კარგი შედეგი აჩვენოს. დღესდღეობით ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა, თუმც ჯგუფში ფავორიტებად თურქეთი და დანია მიმაჩნია. კარგი ნაკრები ჰყავს უკრაინას, თუმც ისიცაა, რომ ცოტა არ იყოს, ერთი კაცის გუნდია. საბერძნეთის ნაკრები კი იმაზე უფრო ძლიერია, ევრო 2000-ის შესარჩევში რომ ვეთამაშეთ.



**პახა პალაძე:** ისეთ ჯგუფში მოვხვდით, რომ წინასწარ კაცი ვერაფერს იტყვის. ფავორიტი არ ჩანს, თუმც ვფიქრობ, დანიას, თურქეთსა და უკრაინას ჯგუფში გამარჯვების შანსი აქვთ. ყაზახეთზე საერთოდ წარმოდგენაც არ მაქვს. ალბანელებს კი ორჯერ ვეთამაშეთ და ყველამ ნახა როგორ გაგვიჭირდა. საბერძნეთიც დასაფასებელი მეტოქეა. მოკლედ, ისეთი ჯგუფია, შინ ყველა მეტოქის დამარცხება რომ შეგვიძლია, მთავარია მწვრთნელი მალე დაინიშნოს და სერიოზულად მოვემზადოთ. უიმედოდ არ ვარ, თამაში ყველასთან შეიძლება, ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

**შოთა არველაძე:** ალბანეთში იმდენჯერ ვარ ნამყოფი, რომ იქ სახლი უნდა ვიყიდო.

**— ალბანეთის ნაკრების კარში ექვსი გოლი გაიტანე...**

— ჰო, შეიძლება იქ აღარც შემიშვან. ისე კი, ნორმალურ ჯგუფში მოვხვდით. ხომ შეიძლებოდა, თურქეთის ნაცვლად ჩვენს ჯგუფში უფრო ძლიერი პირველი გუნდი მოხვედრილიყო. ძალიან მობილური ნაკრები ჰყავს უკრაინას, — არ მიმაჩნია ის ერთი კაცის გუნდად.

**ალექსანდრე იაშვილი:** შეიძლებოდა, უარესი ჯგუფი შეგვხვედროდა და უკეთესიც. ზედა გუნდების მხრივ უკეთესი ვარიანტი გვერგო, მათ ქვემოთ კი უარესი — საბერძნეთსა და უკრაინას კარგი ნაკრებები ჰყავთ. თუ ალბანეთსა და ყაზახეთს ავიღებთ, აქაც შეიძლებოდა, რომ მათი კალათებიდან შედარებით სუსტი გუნდები შეგვხვედროდა. ფავორიტები თურქეთი და დანია არიან, მაგრამ მთლიანობაში თანაბარი ჯგუფია უკრაინასა და საქართველოს შორის კი დიდი განსხვავება სულაც არაა.



**ზურაბ ხიზანიშვილი:** უფრო დიდ გუნდებს, გრანდებს ველოდი, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, ვინც შეგვხვდა, ყველა კარგი გუნდია. ალბანეთი კი ვერა და ვერ მოვიცილეთ.

**— „რეინჯერსში“ დანიელი თანაგუნდელი გყავს — პიტერ ლოვენკრანდსი...**

— თუ დანიასთან მარჯვენა მცველად გამამწესებენ, ალბათ მის წინაალმდეგ მომიწევს თამაში. როგორც კი წილისყრის შედეგები გავიგე, ლოვენკრანდსს მესიჯი გავუგზავნე: WELCOME TO GEORGIA, მაგრამ პასუხი არ მიმიღია — როგორც ჩანს, უფრო მათ ეშინიათ ჩვენი, ვიდრე ჩვენ მათი. ისე, ლოვენკრანდსი კარგი ფეხბურთელია, ძალიან სწრაფია.

**— რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ შესარჩევში ჩვენი ნაკრებისთვის?**

— მთავარი ისაა, რაც საჭიროა — კარგი მწვრთნელი და ყველაფრის დროულად კეთება.

**— უკრაინაზე რას იტყვი?**

— უკრაინა ისეთი გუნდია, ერთი გამოკვეთილი ლიდერი რომ ჰყავს — მთლიანობაში უკრაინის ნაკრები დიდი ფეხბურთელებით არაა დაკომპლექტებული, მაგრამ ჟინიანი და სტაბილური გუნდია და ასეთთან თამაში უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე მაღალკლასიანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან — უკრაინელები ხომ ისე თამაშობენ, რომ არ ამოგასუნთქებენ.

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

*შენოლ გიუნეშს შარშან ტრაბზონში შევხვდით მას შემდეგ, რაც თურქებმა ქართველებს ამხანაგურად 3:0 მოუგეს. ნაკრების მწვრთნელი მაშინ გმირი იყო, დღეს კი პლეი ოფში ლატვიასთან დამარცხებული ქვეყანა გიუნეშისგან რეაბილიტაციას ითხოვს. ოსმალო თავკაცს ნუხელ შევეხმიანეთ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ტრაბზონში დაბადებულმა ჰალუკ ულუსოიმ შენოლ გიუნეშს პლეი ოფში წაგების მიუხედავად კონტრაქტი ოთხი წლით გაუხანგრძლივა და მსოლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თურქეთის ნაკრებს კვლავ შენოლ ხოჯა დამოძღვრავს*

**— ჯგუფის დონეს როგორ შეაფასებდით?**

— ფაქტობრივად, თანაბარი გუნდები შეიკრიბნენ, თუ არ ჩავთვლით ყაზახეთს, რომელსაც ალბათ არავინ იცნობს, რადგან ევროპულ კალათაში პირველად მოხვდა.

**— თქვენთვის არასასურველი მეტოქეები აგცდათ?**

— ცხადია, საფრანგეთთან, იტალიასთან და ჰოლანდიასთან შეხვედრა რომ არ მოგვიწევს, ეს მცირედი შვებაა.

**— ლატვიასთან მარცხის მერე ალბათ ნაკრებს გადაახალისებდით...**

— რადიკალურ ცვლილებებს არ ვაპირებ. ნებისმიერ პოზიციაზე თითოეული მოთამაშის შემცვლელი გვყავს და შესარჩევ ციკლშიც ისინი ითამაშებენ, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება.

**— ჰაქან შუქურს კვლავ უხმობთ?**

— წინასწარ ვერ გეტყვით, თუმც ჰაქანმა კვირაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია.

**— ჯგუფიდან თქვენი გასვლის შანსებზე რას გვეტყვით?**

— ვფიქრობ, რომ იმდენად დაბალანსებული ჯგუფია, რომ, ფაქტობრივად, შანსები ყველას თანაბარი აქვს. მეტოქეებიდან საქართველოსთან შარშან ვითამაშეთ, თუმც ის ალბათ ქართველთა საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ იყო. უკრაინა ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია, ისევე, როგორც დანია; ალბანეთი ხელწამოსაკრავი არაა, ბერძნებს კი ოტო რეჰაგელმა ევრო 2004-ის საგზური მოუპოვა. ვინ როგორ ფორმაში იქნება შესარჩევის დაწყების წინ ახლა ვარაუდი ძნელია.

**— თქვენ რომელ გუნდთან მატჩით ისურვებდით ციკლის დაწყებას?**

— ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. თუ მწვრთნელს თავისი ნაკრების ეიმედება, ნებისმიერ მეტოქესთან თამაში შეიძლება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## თურქეთი

**მოსახლეობა:** 68 მილიონ 110 ათასი
**დედაქალაქი:** ანკარა
**ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა** 1923 წელს
**ფიფას წევრი:** 1923 წლიდან
**პრეზიდენტი:** ჰალუკ ულუსოი
**გენერალური მდივანი:** მეჰმეთ ბიდინ თორუნოღლუ
**სტადიონი:** „ალი სამი იენი“, სტამბოლი (ტევადობა 40 000)
**უძლიერესი კლუბები:** „გალათასარაი“, „ფენერბაჩე“, „ბეშიქთაში“
**ტიტულები:** მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (2002)
**მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა:** 2 (1954, 2002)
**მწვრთნელი:** შენოლ გიუნეში
**კაპიტანი:** ბიულენთ ქორქმაზი
**ფორმა:** წითელი მაისურა, წითელი ტრუსი, წითელი გეტრები




შარშან შენოლ გიუნეში გმირი და ქუჩებში გამოსაფენი კაცი იყო

# შენოლისგან გვახსოვს ნოლი

**ყოველი** მომდევნო წილისყრის შემდეგ, როგორც წესი, საქართველოს ნაკრების მეტოქეები იხსენებენ, როგორ იოლად გვძლიეს წინა შესარჩევ ციკლში თუ ამხანაგურ მატჩში. ამჯერად საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელი თურქეთის ეროვნული ნაკრები იქნება, რომელიც ევროპის საგაისო ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, მაგრამ მსოფლიოს ბრინჯაოსანი კი გახლავთ.

შარშან აგვისტოში ოსმალებმა ამხანაგურად გაჯიბრება შემოგვთავაზეს. ალექსანდრე ჩივაძის გუნდი ტრაპიზონს ეწვია და მაშინ ალმავლობის გზაზე მყოფ მასპინძელთან 0:3 დამარცხდა. მას შემდეგ ევრო 2004-ის ჯგუფური ტურნირი დაიწყო. შენოლ გიუნეშმა თაობათა ცვლა თითქოს დააპირა, მაგრამ ამ საქმეს მთლად რადიკალურად ვერ მიუდგა. ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას თურქი ჟურნალისტები გიუნეშს ჰაქან შუქურისადმი გადამეტებულ სიმპათიებში ადანაშაულებდნენ. ხოჯა კრიტიკას ყურს არ უგდებდა და „ბოსფორის ბუღას“ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა. საბოლოოდ, შუქურმა შარშან კორეა-იაპონიაში მხოლოდ მესამე ადგილისთვის მატჩში გამოიჩინა თავი და უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა. ბრინჯაოს მოგებაში ოსმალოს ახალგაზრდა ფორვარდი, „ბეშიქთაშის“ მეგოლე ილჰან მანსიზი დაეხმარა, რომელიც მანამდე ჩრდილში იმყოფებოდა და მწვრთნელი დიდად არ ენდობოდა.

ილჰან მანსიზის კოზირი სისწრაფე და საგოლე ალღო გახლავთ. იგი არც ტექნიკასთანაა მწყრალად, თუმცა მომენტების გამოუყენებლობაში ფილიპო ინძაგის შეედრება.

მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ ციკლში საეჭვოა, გიუნეში კვლავ ჰაქან შუქურს დაეყრდნოს, მიუხედავად იმისა, რომ „ბოსფორის ბუღამ“ ევრო 2004-ის შესარჩევის ბოლოს კარგად ითამაშა და ახლახან „ოუვენტუსის“ კარშიც წყვილი გოლი მიითვალა. 2004 წლის შემოდგომისთვის ალბათ ჰაქან შუქურის მზე ჩაესვენება. ამიტომ შენოლ გიუნეში აქცენტს ახალგაზრდა ფორვარდებზე გააკეთებს. თუნდაც მათზე, ვინც გასულ ზაფხულს კონფედერაციის თასზე იყოჩაღა. თუნქჩაის და კარადენიზს დღეს თურქეთში პერსპექტიულ ფორვარდებად მიიჩნევენ — ჰაქან შუქურს სწორედ რომელიმე მათგანი შეცვლის.

რაც შეეხება შუახაზს, ამ რგოლში შენოლ გიუნეშს ნაკლებად უჭირს. უმით დავალამ და ჰასან შაშმა საუკეთესო წლები უკან მოიტოვეს, მაგრამ უმითი ბრწყინვალედ მოთამაშე „ვერდერის“ ძირითადშია ფეხმოკიდებული, შაში კი „გალათასარაიში“ თერიმის ჯილაა. შენოლ გიუნეშს მაინც ილდირაი ბაშთურქის ეიმედება და გელზენკირხენის „შალკეს“ ჰამიტ ალტინტოპსაც ალბათ გაუშინაურებს ძირითად შემადგენლობას. დაცვაში ოსმალებს მთავარი კაცი ბიულენთ ქორქმაზი დაუჩაჩანაკდათ. ლატვიასთან გადამწყვეტ მატჩში ვერპაკოვსკისმა სწორედ ბიულენთთან ჯაჯგურში შეაგდო მეორე გოლი. ალფაი ოზალანიც სიბერისკენ წავიდა და ისიც იშვიათად ხვდება ძირითად თერთმეტეულში.

შენოლ გიუნეშს ნაკრების გადახალისება მოუწევს მომავალი შემოდგომისთვის. სწორედ ამ საქმის ცოდნას უწუნებენ ჟურნალისტები, რომლებიც ლატვიასთან წაგების შემდეგ და მანამდეც უკიჟინებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე გადახალისება რომ დაგეწყო, ასე არ შევრცხვებოდითო.

სტამბოლში თამაში ნებისმიერ ძლიერ ნაკრებს უჭირს, ინგლისი იქნება თუ საფრანგეთი, ესპანეთი თუ ჰოლანდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოს არ გაუჭირდება მარტივი მიზეზის გამო: თურქები ჩვენ ძლიერ მოწინააღმდეგედ არ მიგვიჩნევენ.

**რომან თურქია**

### საქართველო vs თურქეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.08.02 ამ ტრაპიზონი | თურქეთი 3:0 საქართველო | | არიფი, ჯიჰანი, ნიჰათი |

ამ – ამხანაგური მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I–I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

# ამხანაგობის დრო მორჩა



2001 წლის 14 თებერვალი. უკრაინელთა მეორე სტუმრობა უგოლოდ დასრულდა

## უკრაინა

მოსახლეობა: 49 მილიონ 60 ათასი
დედაქალაქი: კიევი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1991 წელს
ფიფას წევრი: 1992 წლიდან
პრეზიდენტი: გრიგორი სურკისი
გენერალური მდივანი: ანატოლი პოპოვი
სტადიონი: „ოლიმპიისკი", კიევი (ტევადობა 100 000)
უძლიერესი კლუბები: „დინამო", „შახტარი", „დნიპრო"
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
კაპიტანი: ოლეგ ლუჟნი-ანდრეი შევჩენკო
ფორმა: ყვითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, ყვითელი გეტრები

**საქართველო** და უკრაინა პოსტსაბჭოური ქვეყნები არიან. უკრაინის ეროვნულმა ნაკრებმა ჩვენების მსგავსად პირველი მატჩი 1992 წელს გამართა. უკრაინის და საქართველოს საკლუბო ფლაგმანები სეხნიები არიან. უკრაინელი საქართველოში თამაშობს, ჩვენები უფრო მეტნი არიან იქაურ ჩემპიონატში. აი, ეს საერთო გვაქვს საფეხბურთო თვალსაზრისით უკრაინასთან და კიდევ ტკბილ-მწარე საბჭოური მოგონება — ორი ,,დინამოს" ყოველთვის გამორჩეული ბრძოლა.

სხვა მხრივ, საფეხბურთო ამბავში ჩვენსა და უკრაინას შორის საგრძნობი სხვაობაა. უკრაინელები თავიდანვე სახელმწიფოებრივად მიუდგნენ ფეხბურთს და შედეგებსაც სწრაფად იმკიან. ფიფა-უეფას წევრი ახალგაზრდა ქვეყნებიდან უკრაინა ყველაზე უიღბლოდ ჩაითვლება. დიდი უსამართლობაა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები უჩვენოდ რომ ტარდებაო, ამბობენ უკრაინელები და გინდა თუ არა, უნდა დაეთანხმო. ამ ქვეყნის ნაკრებს ყოველთვის ნახევარი ნაბიჯი აკლდებოდა სანუკვარ მიზნამდე. პირველივე მსოფლიოს შესარჩევში უკრაინამ პორტუგალია მოიტოვა და გერმანიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა ჯგუფში, თუმც ორი მატჩის ჯამში ხორვატიასთან ვერაფერი გააწყო. გადათამაშებას ვერ აცდნენ ლურჯ-ყვითლები მომდევნო მსოფლიოს შესარჩევშიც და საფრანგეთში გერმანია გაუშვეს. მესამე და სამართალიო, ამაზეა ნათქვამი. კიევში გუშინდელი საღამოს მერე თქვეს, კენჭისყრისას ასე არასდროს გაგვმართლებია, ამ ჯგუფში უთუოდ უნდა ვივარგოთო.

უკრაინას ჰქონია დიდი და ხმაურიანი გამარჯვებები და მათი შემოქმედი აწ განსვენებული დიდი მწვრთნელი ვალერი ლობოვსკი გახლდათ. ყველაზე დიდი ომი უკრაინელებმა მთავარმეტოქე რუსეთთან გადაიტანეს. 1998 წლის 5 სექტემბერს ლობანოვსკის ბიჭებმა 3:2 მოუგეს „ორთავა არწივს", მერე კი მოსკოვშიცააფრიალეს ლურჯ-ყვითელი დროშები და რუსეთი ჯგუფში ჩატოვეს.

უკრაინის ნაკრების საუკეთესო შედეგია 4:0 — ამ ანგარიშზე დიდი სხვაობით მათ ანდორის და საქართველოს გარდა არავისთვის მოუგიათ. ქართველთა და უკრაინელთა სანაკრებო ნაცნობობა ოთხ ამხანაგურ მატჩს მოიცავს. ეს 4:0 გაცნობისა იყო — 1998 წლის 19 აგვისტოს რომ შედგა კიევის „რესპუბლიკურზე". ამ ამბიდან შვიდ თვეში ლურჯ-ყვითლებმა თბილისშიც მოგვიგეს მინიმალური სხვაობით. მერე კი შარშანწინდელი უგოლო ფრე იყო „ეროვნულზე", რასაც 2002 წლის 17 აპრილს კიევური 2:1 მოჰყვა მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ თამაშში ეფექტური გოლით ბურდულმა გაქვითა ანგარიში, თუმც მასპინძლებმა საფინალო დაწოლას გამარჯვება მოაყოლეს.

უკრაინამ ევროშესარჩევის ბოლო ეტაპი ჩააგდო. ესპანეთთან და საბერძნეთთან ერთად ქვეჯგუფში მოხვედრილმა მხოლოდ ორი მატჩი მოიგო, რაც ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმც ეს ნაკრები ძალზედ პროგრესულია და თქმა არ უნდა, დიდი ამბიციით შეუდგება გერმანული ბილიკების გაჭრას.

უკრაინას საბერძნეთში მწვრთნელობადამულამებული ოლეგ ბლოხინი უთავკაცებს, თუმც ჩვენი მომავალი მეტოქის ყველაზე მძლავრი იარაღი ანდრეი შევჩენკოა — თანამედროვე ფეხბურთის გამორჩეული ვარსკვლავი.

**ბაატა ძვანტალიანი**

### საქართველო vs უკრაინა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.08.98 | ამ | კიევი | უკრაინა 4:0 საქართველო | რებროვი (2), სკაჩენკო, კოვალიოვი |
| 20.03.99 | ამ | თბილისი | საქართველო 0:1 უკრაინა | კონოვალოვი |
| 14.02.01 | ამ | თბილისი | საქართველო 0:0 უკრაინა | |
| 17.04.02 | ამ | კიევი | უკრაინა 2:1 საქართველო | რებროვი, ტიმოშჩუკი; ბურდული |

*ამ – ამხანაგური მატჩი*

# აღარ გვინდა არგონავტები!

## საბერძნეთი

მოსახლეობა: 10 მილიონ 670 ათასი
დედაქალაქი: ათენი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1926 წელს
ფიფას წევრი: 1927 წლიდან
პრეზიდენტი: ვასილის გაგაცისი
გენერალური მდივანი: იანის ეკონომიდესი
სტადიონი: „სპიროს ლუისი", ათენი (ტევადობა 75 000)
უძლიერესი კლუბები: „პანათინაიკოსი", „ოლიმპიაკოსი", ᲐᲔᲙ
მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა: 1 (1994)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
კაპიტანი: ნიკოს დაბიზასი
ფორმა: ლურჯი მაისურა, თეთრი ტრუსი, ლურჯი გეტრები

**ერთი** ამხანაგური და ორი ოფიციალური, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი უკვე ნათამაშევია. ასე რომ, ქართველთა და ბერძენთა სანაკრებო ურთიერთობებს გარკვეული ისტორია აქვს. ეს ისტორია ჩვენთვის მაინცდამაინც სასიამოვნოდ მოსაგონარი წესით არ უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ სამივეჯერ თამაში ბერძნების გამარჯვებით დასრულდა, ორჯერ 2:1 და ერთხელ 3:0, თუმცა მარცხიც არის და მარცხიც. კერძოდ, შეხვედრაში, რომელიც ათენის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა და 3:0 დასრულდა, საქართველოს ნაკრები პირწმინდად დამარცხდა, ხოლო შეხვედრაში, რომელიც თბილისში, ,,ეროვნულზე" ჩატარდა და ბერძნებმა 2:1 მოიგეს, ქართველმა ფეხბურთელებმა, რომელთა შორის რამდენიმე დებიუტანტიც იყო, დიდი მონდომება და შეუპოვრობა გვაჩვენეს, ხოლო თუ წააგეს, უფრო ავი ბედის გამო. იმ შეხვედრაში საქართველოს მეტ-ნაკლებად ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი, იოჰან ბოსკამპი ედგა სათავეში. მესამე შეხვედრა ბერძნულ ქალაქ იანინაში ჩატარდა, ის ამხანაგური იყო და მეხსიერებას მხოლოდ ტაბლოზე დაწერილი ციფრებით შემორჩა.

მაშინ ბერძნებს ვასილის დანიელი წვრთნიდა, ხოლო დღეს ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ოტო რეჰაგელი უდგათ სათავეში. რეჰაგელმა რომ საქმე იცის, ამას ბრემენის ,,ვერდერის" მიერ 1992 წელს მოპოვებული თასების თასი, სამგზის ბუნდესლიგის ჩემპიონობა (ორჯერ ,,ვერდერი", ერთხელ ,,კაიზერსლაუტერნი") და სამგზის გერმანიის თასი (ერთხელ დიუსელდორფის ,,ფორტუნა", ორჯერ ,,ვერდერი") ადასტურებს. და კიდევ, ამას ადასტურებს ბერძენთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა.

ნუ დავივიწყებთ იმსაც, რომ ოტო რეჰაგელთან ქართულ ფეხბურთს თავისი, ცალკე ისტორია აკავშირებს. კერძოდ, 1987 წელს უეფას თასის მერვედფინალში თბილისის ,,დინამოს" ორი ძლიერ დრამატული შეხვედრა სწორედ რეჰაგელის ,,ვერდერთან" ჰქონდა და მაშინ რეჰაგელმა იმარჯვა. ერთი სიტყვით, 56 წლის გერმანელი თბილისის ,,ეროვნული" სტადიონისთვის ,,ნაცნობი სახეა", თუმცა რომელ სარბიელზე გაიმართება საქართველოსა და საბერძნეთის მატჩი, დღეს, ცხადია, უცნობია.

რეჰაგელთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციამ იგი ჯერ კიდევ წინა, 2002 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლისთვის მიიწვია და მიუხედავად შეჯიბრების ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩენისა, არ გაანთავისუფლა — როგორ ჩანს, მის ხელში გუნდს უკეთესობა დაეტყო. შემდეგ გაირკვა, რომ ბერძნებს სწორი არჩევანი გაუკეთებიათ. აქვე დავძინოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში საბერძნეთის ნაკრების უდიდესი მიღწევა 1994 წელს ფინალურ ეტაპზე მოხვედრა გახლდათ.

ახლა კი ცალი თვალით ელინთა ახლანდელი ნაკრების შემადგენლობას ჩავხედოთ. დავინახავთ, რომ აქ ყველაზე ასაკოვანი ორი კაცია: თეოდოროს ზაგორაკისი და ანტონიოს ნიკოპოლიდისი — 1971 წელს არიან დაბადებულნი, ხოლო ყველაზე უმცროსი 1981 წელს დაბადებული გეორგიუს სეიტარიდისი გახლავთ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ოტო რეჰაგელი ძირითადად დაღვინებულ, 25-27 წლის ფეხბურთელთა ჯგუფს ეყრდნობა და აღმზრდელი პედაგოგის ფუნქციისგან თავისუფალია, რაც მისი დიდი უპირატესობა უნდა იყოს.

კიდევ, ჩვენს ხელთ არსებული 26-კაციანი ჩამონათვალიდან ცხრამეტი გვარის გასწვრივ ბერძნული კლუბი წერია.

**ბაპუნა ძიდია**



1999 წლის 5 ივნისი. იოჰან ბოსკამპის გაწვრთნილმა საქართველომ რიგიანად კი ითამაშა, მაგრამ ბერძნები თბილისიდან მაინც 3 ქულით წავიდნენ

### საქართველო vs საბერძნეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08.05.96 | ამ | იანინა | საბერძნეთი 2:1 საქართველო | ნიკოლაიდისი (2); გოგრიჭიანი |
| 14.10.98 | ეჩშმ | ათენი | საბერძნეთი 3:0 საქართველო | მახლასი, ლიბეროპულოსი, უზუნიდისი |
| 05.06.99 | ეჩშმ | თბილისი | საქართველო 1:2 საბერძნეთი | ქეცბაია; ფრანცესკოსი, მახლასი |

*ამ – ამხანაგური მატჩი; ეჩშმ – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი*

## ყაზახეთი

მოსახლეობა: 16 მილიონ 760 ათასი
დედაქალაქი: ასტანა
საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1914 წელს
ფიფას წევრი: 1994 წლიდან
პრეზიდენტი: რახატ ალიევი
გენერალური მდივანი: რომან კოპიტინი
სტადიონი: „ცენტრალური", ალმა-ათა (ტევადობა 26 250)
უძლიერესი კლუბები: „ჟენისი", „ირტიში", „ტობოლი"
მწვრთნელი: ლეონიდ პახომოვი
კაპიტანი: ევგენი ლოვჩევი
ფორმა: ლურჯ-ყვითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, ლურჯი გეტრები



ყაზახური ფეხბურთის გამგე რახატ ალიევი

# დანიური სახლის სიურპრიზები

## დანია

**მოსახლეობა:** 5 მილიონ 380 ათასი
**დედაქალაქი:** კოპენჰაგენი
**ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1889 წელს**
**ფიფას წევრი:** 1904 წლიდან
**პრეზიდენტი:** ალან ჰანსენი
**გენერალური მდივანი:** ჯიმ-სტიერნე ჰანსენი
**სტადიონი:** „პარკენი", კოპენჰაგენი (ტევადობა 42 000)
**უძლიერესი კლუბები:** „ბრონდბიუ", „კოპენჰაგენი", „ორჰუსი"
**ტიტულები:** ევროპის ჩემპიონი (1992)
**მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა:** 3 (1986, 1998, 2002)
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი
**კაპიტანი:** თომას ჰელვეგი
**ფორმა:** წითელი მაისურა, თეთრი ტრუსი, წითელი გეტრები



დანიელების მთავარმეგოლე იონ დალ ტომასონი

**ჩარლზ უილიამსი,** აქსელ ანდერსენ ბირვალი, იონ კარი, ედვარდ მაგნერი... ეს გვარები, ეჭვი არაა, არაფერს გეუბნებათ, ისევე, როგორც პოულ პეტერსენი ან ერნსტ ნეტუკა. ერთი სიტყვით, 1908 წლიდან 1979 წლამდე 20 ადამიანს უწვალია, უშრომია, მაგრამ ჩვენთვის მათი გარჯა არაფერ ნიშნავს, მხრებს ვიჩეჩავთ. აი, 1979 წლიდან მოყოლებული კი სხვა ამბავია. საკმარისია, საშრომად და საწვალებლად 1979 წელს მისული ერთი გერმანელი კაცის სახელი წამოგვცდეს, რომ ყველაფერი გასაგები გახდება: ეს კაცი ზეპ პიონტეკი გახლავთ.

ზეპ პიონტეკი, რიქარდ მიოლერნილსენი, ბო იოჰანსონი და მორტენ ოლსენი — ახლა უკვე ნათელია, რომ დანიის ნაკრებზეა ლაპარაკი. ეს ის გუნდია, რომელმაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ბოლო 20-25-წლიან მონაკვეთს ღრმა კვალი დააჩნია. ეს გახლავთ ნაკრები, რომელმაც 80-იან წლებში სამი მცველითა და ხუთი ნახევარმცველით თამაშის ექსპერიმენტი გვაჩვენა (მიშელ იდალგოს საფრანგეთთან ერთად) და ეს ექსპერიმენტი ჩამოყალიბებულ სისტემად აქცია. ეს გახლდათ გუნდი, რომელსაც ბრწყინვალე გონების ტაქტიკოსი, ზეპ პიონტეკი ედგა სათავეში, ხოლო მის ხელქვეით დიდებული ფეხბურთელები, პრებენ ელკიაერ-ლარსენით დაწყებული, თუ გნებავთ, დანიელთა დღევანდელი მწვრთნელით, მორტენ ოლსენით დამთავრებული ბრწყინავდნენ.

რაკილა სიტყვამ მორტენ ოლსენი მოიტანა, გავიხსენოთ, რომ 1949 წელს დაბადებულ სპეციალისტს ფეხბურთელობისას „კიოლნში", „ანდერლეხტში", „მოლენბეკში", „ბრიუგეში" და B 1901-ში უთამაშია. მას დანიის ნაკრების მაისურა 102-ჯერ მოურგია, ხოლო მწვრთნელობისას იმავ მაისურით ქვეშევრდომები უკვე 38-ჯერ უთამაშებია და აქედან 24-ჯერ მოუგია, 10-ჯერ ფრედ დაუსრულებია შეხვედრა, ხოლო ოთხჯერ დამარცხებულა.

ცნობისთვის: ნაკრებში ნათამაშევი მატჩების რაოდენობით მორტენ ოლსენი მესამეა დიდი მეკარის, პიტერ შმაიხელის (129) და მიქაელ ლაუდრუპის (104) შემდეგ. რაც შეეხებათ დანიის ნაკრების დღევანდელ წევრებს, მათგან 80 თამაშით ლიდერობს თომას ჰელვეგი, ბრაიან სტინ ნილსენს 66-ჯერ მოურგია ნაკრების მაისურა, ებე სანდს 59-ჯერ, რენე ჰენრიკსენს 57-ჯერ, ხოლო იონ დალ ტომასონს 55-ჯერ.

ახლა ორიოდ სიტყვით დანიელების და ქართველების ფეხბურთო ურთიერთობაზე, რომელსაც, ეჭვი არაა, ნამდვილი საფუძველი ახლა ეყრება, თუმცა ამ ორი ქვეყნის მობურთალთა ბედი აქა-იქ მაინც გადაკვეთილა. კერძოდ, ზემოხსენებული მორტენ ოლსენი დანიის ნაკრებამდე გერმანულ „კიოლნს" და ჰოლანდიურ „აიაქსს" წვრთნიდა. „კიოლნში" ოლსენის ქვეშევრდომი გახლდათ რევაზ არველაძე, ხოლო „აიაქსში" შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე. შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე ამსტერდამის გუნდიდან სწორედ ოლსენთან გაუგებრობის გამო წავიდა.

გარდა ამისა, ქართულ-დანიური ურთიერთობების ხსენებისას გვაგონდება „მილანი". კერძოდ, იტალიის შავ-წითელი გუნდი გახლდათ ის ადგილი, სადაც კახა კალაძის გზა ორი დანიელის, თომას ჰელვეგის, იონ დალ ტომასონის და მარტინ ლაურსენის გზებთან გადაიკვეთა, ხოლო გერმანულ „შალკეში" ლევან კობიაშვილი ებე სანდის მხარდამხარ იბრძვის.

და ბოლოს, სანამ საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება, დანიას ევრო 2004-ზე მოუწევს თავისი შესაძლებლობების გამოჩენა თუ გამოფენა, რაც ქართველთა მწვრთნელისთვის წესით კარგი უნდა იყოს, თუმცა გააჩნია...

რაც შეეხება დანიის ნაკრებს, 96-წლიან ისტორიაში ათჯერ წვრთნიდა უცხოელი სპეციალისტი.

**პაპუნა ძიძია**

# მე ვარ შავი კატა თუ შენ?!

## ალბანეთი

**მოსახლეობა:** 3 მილიონ 580 ათასი
**დედაქალაქი:** ტირანა
**ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1930 წელს**
**ფიფას წევრი:** 1932 წლიდან
**პრეზიდენტი:** არმანდო დუკა
**გენერალური მდივანი:** სულეიმან სტაროვა
**სტადიონი:** „ქემალ სტაფა", ტირანა (ტევადობა 20 000)
**უძლიერესი კლუბები:** „ტირანა", „დინამო", „ფლამურტარი"
**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ბრიგელი
**კაპიტანი:** ფოტო სტრაკოშა
**ფორმა:** წითელი მაისურა, შავი ტრუსი, წითელი გეტრები

**კმარა** ალბანეთი — ალბათ ბევრმა თქვენგანმა თქვა ეს სიტყვები გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ.

ევროჩემპიონატების კენჭისყრას ისე არ ჩაუვლია, ალბანელთა მეტოქეობა არ გვრგებოდა. ახლა ახალი ათვლა დაიწყო და „არწივები" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ჩაგვეხიარნენ. მოკლედ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს „არწივები" ქართველთა ხელში დაფრთიანდნენ და არც ის გამიკვირდება, თბილისში მორიგი ვიზიტისას რომელიმე ალბანელმა ფეხბურთელმა სასტუმროში პორტიე რომ იცნოს.

ქართველებს ალბანელებთან 6 ევრო-ჯგუფური და ერთიც ამხანაგური მატჩი უთამაშიათ. ამ ორის ნაცნობობა 9 წლის წინ, 14 დეკემბერს შედგა. ჩვენებმა ტირანაში შოთა არველაძის გოლით დაამარცხეს მეტოქე. იმ შესარჩევში საქართველომ თბილისური მატჩიც მოიგო 2:0 შოთა არველაძისვე და ქეცბაიას გოლებით. ბარემ აქვე ვთქვათ, შოთა ალბანელთა კარის ალების ოსტატია — ექვსი გოლი გაუტანია.

მივყვეთ ისტორიას — „შინდისფერებმა" „არწივები" ორ მომდევნო მატჩშიც დაამარცხეს, ჯერ მალტის ტურნირზე, მერე კი მორიგი ევროშესარჩევის თბილისურ შეხვედრაში და ამასობაში დაფრთიანდნენ კიდეც „მართვეები" და საქართველომ ალბანელთა „არწივობაც" გამოსცადა — 1999 წლის 9 ოქტომბრის ტირანულ თამაშს მასპინძელთა 2:1 მოჰყვა. ბოლო ევროშესარჩევში „9 წლის ნაცნობი" „ეროვნულზე" გამოვიჭირეთ — 3:0, მაგრამ ტირანაში ჩასულ მერაბ ჟორდანიას სამწყსოს ცივი შხაპი დაახვედრეს ბრიგელის ბიჭებმა — იგლი ტარეს ბრწყინვალე თამაშის წყალობით ალბანელებმა 3:1 მოიგეს და ეს არის ჯერჯერობით ჩვენი ნაკრების მიერ ნათამაშევი ბოლო მატჩი. აქვე ვთქვათ, ალბანელებმა ორჯერვე ჩვენთან მოგებით დაასრულეს შესარჩევი ეტაპი და იქნებ კალენდრის შედგენისას ღირდეს კიდეც ამაზე ყურადღების გამახვილება.

ცოტა რამ ალბანურ ფეხბურთზეც ვთქვათ. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მათმა ფედერაციამ ჩვენსას დაასწრო ევროპულ რელსებზე შედგომა. შეხედეს ალბანელებმა, რომ მხოლოდ ლეგიონერობით არ დაადგა საშველი მათ საქმეს და ფეხბურთის მცოდნე ცნობილი ევროპელი კაცი ჰანს-პეტერ ბრიგელი ჩაიყვანეს ტირანაში. ბრიგელმა სადებიუტო საქმე პირნათლად შეასრულა — ალბანეთს დაუმტკიცა, რომ ნებისმიერი რანგის მეტოქესთან ტოლ-სწორად ბრძოლაა შესაძლებელი. გავიხსენოთ, რომ ბოლო ევრო შესარჩევში „არწივებმა" რუსები გააბითურეს და ირლანდიაც გვარიანად აჭანჭყარეს — კუნძულელები სულაც ტირანაში დაკარგული ქულების წყალობით ვერ მოხვდნენ ფინალურ ეტაპზე.

პორტუგალიის გზას ასცდა ალბანეთიც, თუმც იქ ყურები არ ჩამოუყრიათ. ჩვენგან განსხვავებით, იქ სწორად იფიქრეს — ევროპელი მწვრთნელი ერთი და ორი დღით ჩამოსაყვანი არ არისო, ამიტომაც ფედერაციამ კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივა ბრიგელს და გერმანელმაც გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ რიხით ისაუბრა თავისი გუნდის შანსებზე:

„კენჭისყრის წინ ილუზიები არ მქონდა, ვიცოდი, რომ სოლიდური მეტოქეები შეგვხვდებოდნენ, ამიტომ უკმაყოფილო არ ვარ. მეტიც, გეტყვით, რომ საშინაო მატჩებში უკლებლივ ყველა მეტოქის დამარცხება შეგვიძლია, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, თქვენი ნაკრებისაც. ალბანეთი და საქართველო თანაბარი ძალისა არიან, მაგრამ თუ ჩვენ რეალურად რამის მიღწევა მოვინდომეთ, ქართველთა დამარცხება არ უნდა გაგვიჭირდეს" — გვითხრა გუშინ ჰანს პეტერ ბრიგელმა.

ჩვენი ალბანელი კოლეგის მიკელე იანკუს თქმით კი, კენჭისყრის შემდეგ ტირანაში უთქვამთ — ისევ შავი კატა შეგვხვდაო. იქ ქართველებს ასე ეძახიან. როგორი „შავი კატა" იქნება ალბანეთისთვის საქართველო, ამას დრო გამოაჩენს.

**პაატა ძვანტალიანი**



ალბანეთის ექვსგოლიანი სპეციალისტი შოთა არველაძე

### საქართველო vs ალბანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.12.94 | ეჩშმ | ტირანა | ალბანეთი 0:1 საქართველო | შ. არველაძე |
| 26.04.95 | ეჩშმ | თბილისი | საქართველო 2:0 ალბანეთი | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 08.02.98 | მტ | ლა ვალეტა | საქართველო 3:0 ალბანეთი | ქეცბაია, იაშვილი, ყაველაშვილი |
| 05.09.98 | ეჩშმ | თბილისი | საქართველო 1:0 ალბანეთი | ა. არველაძე |
| 09.10.99 | ეჩშმ | ტირანა | ალბანეთი 2:1 საქართველო | რაკლი, კოლა; შ. არველაძე |
| 06.09.03 | ეჩშმ | თბილისი | საქართველო 3:0 ალბანეთი | შ. არველაძე (2), აშვეთია |
| 10.09.03 | ეჩშმ | ტირანა | ალბანეთი 3:1 საქართველო | ჰასი, ტარე, ბუში; შ. არველაძე |

*ამ – ამხანაგური მატჩი; ეჩშმ – ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი; მტ – მალტის ტურნირი*

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. წილისყრა



*არ ვიცით, თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, მაგრამ წილისყრის ცერემონიის მუსიკალურმა გაფორმებამ რედაქციაში მყოფი თანამშრომლები ვერ აღგვაფრთოვანა. ან ის ექვსი შავკანიანი ვინ იყო, ან ის გერმანელი მომღერალი? თუმცა ამას, აბა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ სხვა რამ გახლდათ.*

*საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მესამედ თამაშობს. ჩვენი ჯგუფის ავკარგიანობა ცალკე საუბრის თემაა, აქ კი ნაწილისყრევს სხვა ჯგუფებში გაბნეული ნაკრებების მწვრთნელთა პირველ კომენტარებს შემოგთავაზებთ*




## გწყალობდეთ ფეხბურთის ღმერთი

### ჟაკ სანტინი (საფრანგეთი)

წილისყრისას პირველ კალათაში ვიყავით განთესილი და ლოგიკურია, რომ ფავორიტებადაც ვითვლებით. საფრანგეთის ნაკრები ნებისმიერ ტურნირს თუ კონკრეტულ მატჩს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებშიც დავამტკიცეთ.

ჯგუფში უმთავრეს კონკურენტად შვეიცარიას მივიჩნევ, თუმცა ისევ ვიმეორებ, რომ ფავორიტები მაინც ჩვენ ვართ. უბრალოდ, შვეიცარია დანარჩენებზე ძლიერი გუნდია. ისე, გულახდილად რომ გითხრათ, წილისყრამდე ვლოცულობდი, ჰოლანდიას და რუსეთს ავცილებოდით. ფეხბურთის ღმერთმა ჩემი ლოცვა ისმინა.

### ჯოვანი ტრაპატონი (იტალია)



იტალიისთვის გადასარევი ჯგუფია. „სკუადრა აძურას" ორი რთული მატჩი ელის, ოსლოში ნორვეგიასთან და გლაზგოში შოტლანდიასთან. დანარჩენი თამაშები არ მადარდებს, ქულებს არ დავკარგავთ. ის ორი თამაში კი, ოსლოში და გლაზგოში, ბევრ რამეს გადაწყვეტს.

### ლუიშ ფელიპე სკოლარი (პორტუგალია)



წილისყრის შედეგებით აღფრთოვანებული არ დავჩენილვარ. საკმაოდ რთული ჯგუფი გვერგო, მაგრამ თუ რამ გაუთვალისწინებული არ მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთ.

### სვენ გორან ერიკსონი (ინგლისი)

ორი დერბი გველის, უელსთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან. თუ გაეითვალისწინებთ, როგორ კარგად ითამაშა უელსმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, უეჭველია, რომ მძიმე ბრძოლები გველის. დარწმუნებული ვარ, უელსი ჩვენთან სათამაშოდ საგანგებოდ მოემზადება და ჩვენც იგივე გვმართებს. კმაყოფილი ვარ თუ არა? უფრო იოლ ჯგუფშიც შეიძლებოდა მოვხვედრილიყავით, მაგრამ ცუდი არც ესაა. ასე ვიტყოდი — საინტერესო ჯგუფია. ვნახოთ, რა მოხდება.

### ინაკი საესი (ესპანეთი)

ჩვენთვის საკმაოდ კარგი ჯგუფია, კმაყოფილი დავრჩი. ფავორიტები, ცხადია, ჩვენ ვართ, მაგრამ თითოეულ მეტოქეს პატივს ვცემთ და მათ შეუფასებლობას არ ვაპირებთ. საერთოდ კი, იოლი მეტოქეები და მატჩები დღეს აღარ არსებობს.

ესპანეთის ნაკრების მეკარემ, *სანტიაგო კანისარესმა* კი დასძინა: იოლი თამაშები არ იქნება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ვისაც სურს, სიძნელეებზე არ წუწუნებს. ყველა შემთხვევაში, ესპანეთზე ძლიერი გუნდი ჩვენს ჯგუფში არ მეგულება.

### ბერტი ფოგთსი (შოტლანდია)

საწუწუნო არაფერი მაქვს, ძალიან კარგი ჯგუფია. ყველაზე დიდი ჯაფა, ცხადია, იტალიასთან დაგვადგება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ჰემპდენ პარკზე" იტალიასაც მოვუგებთ და სხვებს ხომ, მით უმეტეს. სტუმრადაც ბლომად ქულებს დავაგროვებთ. ევროპის ჩემპიონატზე რომ ვერ გავედით, დღეს უკვე აღარაფერს ნიშნავს, რადგან ახალ შესარჩევ ციკლში ჩვენ ახალი გუნდი გვეყოლება.

## ე ვ რ ო პ ა

### I ჯგუფი

ჩეხეთი
პოლანდია
რუმინეთი
ფინეთი
მაკედონია
სომხეთი
ანდორა

### II ჯგუფი

თურქეთი
დანია
საბერძნეთი
უკრაინა
საქართველო
ალბანეთი
ყაზახეთი

### III ჯგუფი

პორტუგალია
რუსეთი
სლოვაკეთი
ლატვია
ესტონეთი
ლიხტენშტაინი
ლუქსემბურგი

### IV ჯგუფი

საფრანგეთი
ირლანდია
შვეიცარია
ისრაელი
კვიპროსი
ფარერები

### V ჯგუფი

იტალია
სლოვენია
შოტლანდია
ნორვეგია
ბელარუსი
მოლდოვა

### VI ჯგუფი

ინგლისი
პოლონეთი
ავსტრია
უელსი
ჩრ. ირლანდია
აზერბაიჯანი

### VII ჯგუფი

ესპანეთი
ბელგია
სერბეთი
ბოსნია
ლიტვა
სან მარინო

### VIII ჯგუფი

შვედეთი
ხორვატია
ბულგარეთი
ისლანდია
უნგრეთი
მალტა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. წილისყრა

## აზია

რვა ჯგუფის გამარჯვებულები ორ 4-გუნდიან ჯგუფს შექმნიან. იმ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. მესამეადგილოსნები ჯერ ერთმანეთში ითამაშებენ პლეი ოფს, ხოლო გამარჯვებული კონკაკაფის მეოთხე გუნდს შეერკინება მუნდიალის საგზურისთვის.



REUTERS ფოტოქრონიკიდან

აზიელები კორეელმა ბუმ კუნ ჩამ დააწყვილა

### I ჯგუფი
ირანი
ყატარი
იორდანია
ლაოსი

### II ჯგუფი
უზბეკეთი
ერაყი
პალესტინა
ტაივანი

### III ჯგუფი
იაპონია
ომანი
ინდოეთი
სინგაპური

### IV ჯგუფი
ჩინეთი
ქუვეითი
მალაიზია
ჰონ კონგი

### V ჯგუფი
საამიროები
ტაილანდი
იემენი
ჩრდილოეთ კორეა

### VI ჯგუფი
ბაჰრეინი
სირია
ყირგიზეთი
ტაჯიკეთი

### VII ჯგუფი
სამხრეთ კორეა
ლიბანი
ვიეტნამი
მალდივი

### VIII ჯგუფი
საუდის არაბეთი
ინდონეზია
თურქმენეთი
შრი ლანკა

## აფრიკა

შავ კონტინენტზე ყველაფერი მარტივადაა. აქ გუნდები ხუთ ჯგუფში განაწილდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ ადგილებზე გასულები ითამაშებენ

### I ჯგუფი
სენეგალი
მალი
ზამბია
ტოგო
ლიბერია
კონგო

### II ჯგუფი
სამხრეთ აფრიკა
კონგოს დრ
ბურკინა ფასო
განა
უგანდა
კაბო ვერდე

### III ჯგუფი
კამერუნი
ეგვიპტე
კოტ დივუარი
ლიბია
სუდანი
ბენინი

### IV ჯგუფი
ნიგერია
ზიმბაბვე
ალჟირი
ანგოლა
გაბონი
რუანდა

### V ჯგუფი
ტუნისი
მაროკო
კენია
გვინეა
მალავი
ბოტსვანა

## კონკაკაფი

### I ჯგუფი
გრენადა – უგანდა
აშშ

### II ჯგუფი
ბერმუდა – მონსერატი
სალვადორი

### III ჯგუფი
ჰაიტი – ტურკსის და კაიკოსის კ-ები
იამაიკა

### IV ჯგუფი
ბრიტ. ვირჯინიის კ-ები – სენტ ლუსია
პანამა

### V ჯგუფი
კაიმანის კ-ები – კუბა
კოსტა რიკა

### VI ჯგუფი
არუბა – სურინამი
გვატემალა

### VII ჯგუფი
ანტიგუა და ბარბუდა –
ჰოლანდიის ანტილები
ჰონდურასი

### VIII ჯგუფი
კანადა – ბელიზი

### IX ჯგუფი
დომინიკა – ბაჰამა
მექსიკა

### X ჯგუფი
ამერ. ვირჯინიის კ-ები – სენტ კიტსი
ბარბადოსი

### XI ჯგუფი
დომინიკელთა
რესპუბლიკა – ანგუილა
ტრინიდადი და ტობაგო

### XII ჯგუფი
ნიკარაგუა – სენტ ვისენტი და გრენადინი



REUTERS ფოტოქრონიკიდან

აშშ-ს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების წევრმა ბრანდი ჩასტაინმა მიმოფანტული კონკაკაფელები დაალაგა

პირველ ეტაპზე გუნდები პლეი ოფის სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს, რომლის მერეც ბრძოლას 12 გუნდი შემორჩება.

მეორე ეტაპზე დარჩენილი გუნდები სამ 4-გუნდიან ჯგუფებს შექმნიან. პირველ ჯგუფში პირველი ეტაპის 1-4 -ე ჯგუფების გამარჯვებულები ითამაშებენ. მეორე ჯგუფში პირველი ეტაპის მე-5-8 ჯგუფების გამარჯვებულები, ხოლო მესამე ჯგუფში პირველი ეტაპის 9-12-ე ჯგუფების გამარჯვებულები.

ამ ჯგუფებიდან მესამე ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გავა და ერთ 6-გუნდა ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის სამი საგზურისთვის იბრძოლებენ, ხოლო მეოთხე ადგილზე გასული გუნდი პლეი ოფში აზიის გუნდს შეხვდება

## ოკეანეთი

წილისყრისას ათი გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები მეორე ეტაპზე ითამაშებენ, სადაც მათ განთესილები, ავსტრალია და ახალი ზელანდია შეუერთდებიან. შეიქმნება ერთი 6-გუნდიანი ჯგუფი. იქ პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ერთმანეთს პლეი ოფში გაეჯიბრებიან და გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდს შეებრძოლება.

### I ჯგუფი
ტაიტი
სოლომონის კ-ები
ახ. კალედონია
ტონგა
კუკის კ-ები

### II ჯგუფი
ფიჯი
ვანუატუ
პაპუა ახ. გვინეა
სამოა
ამერიკის სამოა

William HILL

„უილიამ ჰილის"
ცხელ-ცხელი კოეფიციენტები
მსოფლიოს ჩემპიონობაზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაზილია | 5-1 | თურქეთი | 80-1 |
| საფრანგეთი | 6-1 | ურუგვაი | 80-1 |
| იტალია | 6-1 | დანია | 100-1 |
| არგენტინა | 7-1 | ირლანდია | 100-1 |
| გერმანია | 7-1 | რუსეთი | 100-1 |
| ინგლისი | 8-1 | სენეგალი | 100-1 |
| ჰოლანდია | 9-1 | ავსტრალია | 125-1 |
| ესპანეთი | 9-1 | ბელგია | 125-1 |
| პორტუგალია | 20-1 | ეკვადორი | 125-1 |
| ჩეხეთი | 25-1 | საბერძნეთი | 125-1 |
| პარაგვაი | 50-1 | პოლონეთი | 125-1 |
| კამერუნი | 66-1 | შვეიცარია | 150-1 |
| მექსიკა | 66-1 | უელსი | 150-1 |
| აშშ | 66-1 | ნორვეგია | 500-1 |
| ნიგერია | 80-1 | შოტლანდია | 750-1 |
| შვედეთი | 80-1 | ჩრდ. ირლანდია | 5000-1 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

| 19.00 | 5418 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 5419 | ტოტენჰემი-ვულვზი | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 5420 | მიუნხენი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 5421 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 5422 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 5423 | ვერდერი-ბაიერნი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5424 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,65 | 2,3 |
| 18.30 | 5425 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 5426 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,7 | 2,2 |
| 21.00 | 5427 | ემპოლი-მილანი | 2,8 | 1,45 |
| 23.30 | 5428 | ლაციო-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 22.30 | 5429 | ოსასუნა-სელტა | 1,7 | 2,2 |
| 22.30 | 5430 | დეპორტივო-მალაგა | 1,35 | 3,2 |
| 22.30 | 5431 | სოსიედადი-ბეტისი | 1,6 | 2,4 |
| 00.30 | 5432 | ბარსელონა-რეალი | 1,95 | 1,85 |
| | | **7 დეკემბერი** | | |
| 18.00 | 5433 | ევერტონი-სიტი | 1,8 | 2,0 |
| 20.05 | 5434 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1,8 | 2,0 |
| 20.30 | 5435 | კიოლნი-ლევერკუზენი | 2,3 | 1,65 |
| 20.30 | 5436 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 5437 | ბოლონია-ანკონა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 5438 | ინტერი-პერუჯა | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 5439 | ლეჩე-პარმა | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 5440 | მოდენა-ბრეშა | 1,65 | 2,3 |
| 18.00 | 5441 | სამპდორია-სიენა | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 5442 | უდინეზე-რეჯინა | 1,45 | 2,8 |
| 23.30 | 5443 | კიევო-რომა | 2,5 | 1,55 |
| 20.00 | 5444 | ალბასეტე-რასინგი | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 5445 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,6 | 2,4 |
| 20.00 | 5446 | მურსია-ვილიარეალი | 1,85 | 1,95 |
| 20.00 | 5447 | სევილია-სარაგოსა | 1,6 | 2,4 |
| 22.00 | 5448 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,35 | 3,2 |
| 24.00 | 5449 | ვალენსია-ბილბაო | 1,35 | 3,2 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 5012 | ნიუკასლი-ლივერპული | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 19.00 | 5013 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 19.00 | 5014 | ფულემი-ბოლტონი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 19.00 | 5015 | ლიდსი-ჩელსი | 5,6 | 2,3 | 1,9 | 1,63 | 1,41 | 1,04 |
| 19.00 | 5016 | ლესტერი-არსენალი | 5,6 | 2,3 | 1,9 | 1,63 | 1,41 | 1,04 |
| 19.00 | 5017 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,3 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,76 |
| 19.00 | 5018 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5019 | ტოტენჰემი-ვულვზი | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 18.30 | 5020 | მიუნხენი-ჰანზა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 18.30 | 5021 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.30 | 5022 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 18.30 | 5023 | ვერდერი-ბაიერნი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 18.30 | 5024 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 18.30 | 5025 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 18.30 | 5026 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 21.00 | 5027 | ემპოლი-მილანი | 6,0 | 2,2 | 1,95 | 1,6 | 1,47 | 1,03 |
| 23.30 | 5028 | ლაციო-იუვენტუსი | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 22.30 | 5029 | ოსასუნა-სელტა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 22.30 | 5030 | დეპორტივო-მალაგა | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 22.30 | 5031 | სოსიედადი-ბეტისი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 00.30 | 5032 | ბარსელონა-რეალი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 5033 | ევერტონი-სიტი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 20.05 | 5034 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 20.30 | 5035 | კიოლნი-ლევერკუზენი | 4,4 | 2,2 | 2,25 | 1,46 | 1,48 | 1,11 |
| 20.30 | 5036 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.00 | 5037 | ბოლონია-ანკონა | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 18.00 | 5038 | ინტერი-პერუჯა | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |
| 18.00 | 5039 | ლეჩე-პარმა | 3,8 | 2,0 | 2,7 | 1,31 | 1,57 | 1,14 |
| 18.00 | 5040 | მოდენა-ბრეშა | 2,4 | 2,0 | 4,6 | 1,09 | 1,57 | 1,39 |
| 18.00 | 5041 | სამპდორია-სიენა | 2,3 | 2,0 | 5,0 | 1,06 | 1,57 | 1,42 |
| 18.00 | 5042 | უდინეზე-რეჯინა | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 23.30 | 5043 | კიევო-რომა | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 20.00 | 5044 | ალბასეტე-რასინგი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 20.00 | 5045 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 20.00 | 5046 | მურსია-ვილიარეალი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 20.00 | 5047 | სევილია-სარაგოსა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 22.00 | 5048 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 24.00 | 5049 | ვალენსია-ბილბაო | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5112 | ნიუკასლი-ლივერპული | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 5113 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5114 | ფულემი-ბოლტონი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5115 | ლიდსი-ჩელსი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 19.00 | 5116 | ლესტერი-არსენალი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 19.00 | 5117 | მანჩესტერი-ა.ვილა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 19.00 | 5118 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5119 | ტოტენჰემი-ვულვერჰემ. | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5120 | მიუნხენი-ჰანზა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5121 | დორტმუნდი-ჰერტა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5122 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5123 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5124 | ვოლფსბ.-კ.სლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 5125 | აინტრახტი-ჰანოვერი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5126 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 | 5127 | ემპოლი-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.30 | 5128 | ლაციო-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 22.30 | 5129 | ოსასუნა-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.30 | 5130 | დეპორტივო-მალაგა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 22.30 | 5131 | სოსიედადი-ბეტისი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 00.30 | 5132 | ბარსელონა-რეალი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **7 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5133 | ევერტონი-სიტი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.05 | 5134 | საუთჰემპტ.-ჩარლტონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.30 | 5135 | კიოლნი-ლევერკუზენი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.30 | 5136 | შალკე-მ.გლადბახი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5137 | ბოლონია-ანკონა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 5138 | ინტერი-პერუჯა | 1,5 | 25,0 | 50,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5139 | ლეჩე-პარმა | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.00 | 5140 | მოდენა-ბრეშა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5141 | სამპდორია-სიენა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5142 | უდინეზე-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.30 | 5143 | კიევო-რომა | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 20.00 | 5144 | ალბასეტე-რასინგი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5145 | მალიორკა-ვალიადოლ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 5146 | მურსია-ვილიარეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 5147 | სევილია-სარაგოსა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.00 | 5148 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 11,0 | 11,0 |
| 24.00 | 5149 | ვალენსია-ბილბაო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **6 დეკემბერი** | | |
| 16.30 | 5212 | ნიუკასლი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5213 | ბირმინგემი-ბლექბერნი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5214 | ფულემი-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5215 | ლიდსი-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5216 | ლესტერი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5217 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 5218 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5219 | ტოტენჰემი-ვულვზი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5220 | მიუნხენი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5221 | დორტმუნდი-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5222 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5223 | ვერდერი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5224 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5225 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5226 | ფრაიბურგი-ბოხუმი | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 5227 | ემპოლი-მილანი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5228 | ლაციო-იუვენტუსი | 1,8 | 1,8 |
| 22.30 | 5229 | ოსასუნა-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 5230 | დეპორტივო-მალაგა | 1,9 | 1,7 |
| 22.30 | 5231 | სოსიედადი-ბეტისი | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 5232 | ბარსელონა-რეალი | 1,9 | 1,7 |
| | | **7 დეკემბერი** | | |
| 18.00 | 5233 | ევერტონი-სიტი | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 5234 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 5235 | კიოლნი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 20.30 | 5236 | შალკე-მიონხენგლადბახი | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5237 | ბოლონია-ანკონა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5238 | ინტერი-პერუჯა | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5239 | ლეჩე-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5240 | მოდენა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5241 | სამპდორია-სიენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5242 | უდინეზე-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5243 | კიევო-რომა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5244 | ალბასეტე-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5245 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5246 | მურსია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5247 | სევილია-სარაგოსა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5248 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 5249 | ვალენსია-ბილბაო | 1,85 | 1,75 |

## იტალია

ჯაბენა კეჟია

# მოერიდეთ ვირის წიხლს

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ემპოლი | — | მილანი |
| ლაციო | — | იუვენტუსი |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | — | ანკონა |
| კიევო | — | რომა |
| ინტერი | — | პერუჯა |
| ლეჩე | — | პარმა |
| მოდენა | — | ბრეშა |
| სამპდორია | — | სიენა |
| უდინეზე | — | რეჯინა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 11 | 8 | 3 | 0 | 25:4 | 27 |
| მილანი | 11 | 8 | 3 | 0 | 20:4 | 27 |
| იუვენტუსი | 11 | 8 | 2 | 1 | 26:12 | 26 |
| ინტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 20:6 | 22 |
| პარმა | 11 | 6 | 3 | 2 | 19:11 | 21 |
| ლაციო | 11 | 6 | 1 | 4 | 18:16 | 19 |
| სამპდორია | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| უდინეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 15 |
| სიენა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:10 | 14 |
| კიევო | 11 | 4 | 2 | 5 | 13:15 | 14 |
| მოდენა | 11 | 4 | 2 | 5 | 10:12 | 14 |
| რეჯინა | 11 | 1 | 7 | 3 | 10:19 | 10 |
| ბრეშა | 11 | 1 | 5 | 5 | 16:23 | 8 |
| ლეჩე | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | 8 |
| ბოლონია | 11 | 1 | 4 | 6 | 9:17 | 7 |
| პერუჯა | 11 | 0 | 7 | 4 | 13:22 | 7 |
| ემპოლი | 11 | 1 | 3 | 7 | 7:23 | 6 |
| ანკონა | 11 | 0 | 4 | 7 | 5:21 | 4 |

**„ლაციო“ — „იუვენტუსი“**, როგორი მატჩია?! იგი დღეს, ჩვენი დროით ღამის თორმეტის ნახევარზე, რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართება, ოღონდ გარდა იმისა, რომ ერთ მხარეს „ლაციო“ იდგება, ხოლო მეორე მხარეს „იუვენტუსი“, ყურადღებას იმითაც მიიქცევს, რომ „ბებერ ქალბატონს“ ბოლო ორი თამაში (იტალიის პირველობაზე „ინტერთან“ და ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაისთან“) წაგებული აქვს, რაც ორმაგად მონდომების აუცილებლობის წინაშე აყენებს. შეძლებს „იუვე“ მდგომარეობის გამოსწორებას?

და კიდევ, მართალია ამ სეზონში ტურინელები (აქამდე მაინც) ძლიერად თამაშობენ (თუ თამაშობდნენ), მაგრამ პრინციპული, უფრო სწორედ კი ცხრილის სათავეში დასამკვიდრებელი ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს. გაიხსენეთ ფრეები „რომასთან“ და „მილანთან“. „ინტერთან“ კი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მარცხი, თან შინ და ძალიან შთამბეჭდავი. რაც შეეხება „ლაციოს“, ეს გუნდი შესაძლოა, „სკუდეტოსთვის“ უკვე ველარ იბრძვის, მაგრამ გასულ სეზონში „იუვეს“ 2:1 ძლევას „დელე ალპიზე“ არ დაერიდა და ახლა შინ ნამდვილად არაფერს მოერიდება.

„იუვეს“ ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო ტრადიციისამებრ ძნელად და ნელა იშუშებს კუნთის ტრავმას, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს რომში მისი კარგი თამაშის გარანტია არავის აქვს. ერთი სიტყვით, ალბათ, მის მაგივრად თავდასხმაში მარკო დი ვაიო ითამაშებს, „ლაციოს“ ბავშვთა სკოლის აღზრდილი და ქომაგი.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა შემადგენლობაში არ იქნება დისკვალიფიცირებული სერბი დეიან სტანკოვიჩი, მაგრამ სერჟიუ კონსეისაუ და ფილიპო ინძაგი ბრუნდებიან.

„ინტერი“ ამ დრომ „პერუჯას“ მასპინძლობს და „იუვენტუსის“ ზემოხსენებული ძლევის წყალობით ისევ „სკუდეტოს“ მაძიებელთა შორისაა. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით „ინტერი“ კრისტიან ვიერის გარეშე უკეთეს ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე მასთან ერთად, იღბალია თუ რა, ვიერი არც „პერუჯას“ წინააღმდეგ ითამაშებს.

რაც შეეხება „პერუჯას“, რომელიც უეფას თასზე ჩინებულად თამაშობს, სერია A-ში კვლავ გამარჯვების გარეშეა. გასულ ტურში, „ემპოლისთან“ შეხვედრაში პერუჯელებმა ერთი, რომ პენალტი ვერ გაიტანეს და მეორე, მათმა ფეხბურთელმა, ზისის ვრიზასმა გუნდის მეხუთე წითელი ბარათი მიიღო.

და კიდევ, თვალსაჩინო თამაშია „კიევო“ — „რომა“. „რომას“, „მილანისა“ არ იყოს, ჯერ თამაში არ წაუგია. ფაბიო კაპელოს განკარგულებაში გახლავთ 11 თამაშში 25 გოლის გამტანი თავდასხმა (რაც მეორე შედეგია) და დაცვა, რომელმაც მხოლოდ ოთხი გოლი გაუშვა. ერთადერთი, რასაც იტალიაში ეჭვობენ, დედაქალაქელთა ფეხბურთის სანახაობრივი მხარეა.

რაც შეეხებათ „მფრინავ ვირებს“, მათ ბოლო ორი თამაში („მილანსა“ და „პარმასთან“) წააგეს და პლუს დაშავებული ჰყავთ მარიო ალბერტო სანტანა და ანდრეა ძანკეტა. საეჭვოა მეკარე ლუკა მარკეჯანის თამაშიც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ „კიევომ“ ბოლო წლებში სახელი გაითქვა, ერთ-ერთი მიზეზი ძლიერთა და გამოჩენილთა ძლევაც იყო, ასე რომ...

ბოლოს კი „მილანი“, რომლის სავარაუდო შემადგენლობაში კახა კალაძის გვარსახელი არ წერია. „მილანს“ თეორიულად და „რომას“ თამაშის გათვალისწინებით ლიდერობის ბრწყინვალე შანსი ეძლევა, რადგან ემპოლში ჩადის თავის შეჩენკოთი და გიჟმაჟებით. რა უნდა დაახვედროს „ემპოლიმ“ ისეთი, რომ აჯობოს?



დისკვალიფიცირებული დეიან სტანკოვიჩი სასჯელის მოხდას „იუვენტუსით“ დაიწყებს

## ინგლისი





# აბდულრაჰმან VS აბრამოვიჩი

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | ბლექბერნი |
| ფულემი | — | ბოლტონი |
| ლიდსი | — | ჩელსი |
| ლესტერი | — | არსენალი |
| მანჩესტერი | — | ასტონ ვილა |
| მიდლსბრო | — | პორტსმუთი |
| ნიუკასლი | — | ლივერპული |
| ტოტენჰემი | — | ვულვზი |
| **ხვალ** | | |
| საუთჰემპტონი | — | ჩარლტონი |
| ევერტონი | — | სიტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 14 | 11 | 2 | 1 | 28:9 | 35 |
| არსენალი | 14 | 10 | 4 | 0 | 28:10 | 34 |
| მანჩესტერი | 14 | 10 | 1 | 3 | 25:9 | 31 |
| ფულემი | 14 | 6 | 4 | 4 | 24:18 | 22 |
| ჩარლტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 20:17 | 22 |
| ლივერპული | 14 | 6 | 3 | 5 | 21:15 | 21 |
| ნიუკასლი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:19 | 20 |
| ბირმინგემი | 14 | 5 | 5 | 4 | 12:14 | 20 |
| სიტი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:19 | 18 |
| მიდლსბრო | 14 | 5 | 3 | 6 | 12:15 | 18 |
| ბოლტონი | 14 | 4 | 6 | 4 | 13:19 | 18 |
| საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 10:9 | 17 |
| ლესტერი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:22 | 15 |
| პორტსმუთი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:20 | 15 |
| ტოტენჰემი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:18 | 15 |
| ბლექბერნი | 14 | 4 | 2 | 8 | 19:24 | 14 |
| ასტონ ვილა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:17 | 14 |
| ევერტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:19 | 13 |
| ვულვზი | 14 | 2 | 5 | 7 | 9:27 | 11 |
| ლიდსი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:33 | 11 |

**ლიდერთა** საამტურო განრიგი ასეთია: „ჩელსი“ ლიდსში ჩადის, „მანჩესტერი“ „ასტონ ვილას“ მასპინძლობს, ხოლო „არსენალი“ ლესტერში მიდის. ჩვენ კი თხრობა ორი სახელიანი გუნდის და ცხრილში მეზობლების, „ნიუკასლისა“ და „ლივერპულის“ დღევანდელი შებმით დავიწყოთ.

ლივერპულელებს კვლავაც არ ეყოლებათ მაიკლ ოუენი, რომლისთვისაც ეს სეზონი უცუდესია მოძალებული ტრავმების გამო. სამაგიეროდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრავმამოშუშებულმა სტივენ ჯერარდმა და ჰარი კიუელმა შუა კვირაში სათასო მატჩში შეცვლებზე ითამაშეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს ორივენი სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან. „ნიუკასლის“ თავდასხმაში კი ალან შირერს სავარაუდოდ ლომანა ლუალუა შეუწყვილდება შოლა ამეობის ნაცვლად.

ახლა ლიდერებს მივუბრუნდეთ.

„ელანდ როუდზე“ აუტსაიდერი და ლიდერი ხვდებიან და ლოგიკა გვკარნახობს, რომ ლიდერმა იოლად უნდა მოიგოს, მით უმეტეს, რომ „ჩელსის“ მარსელ დესაი დაუბრუნდა, რომელიც კიდევ უფრო შეადუღაბებს დაცვის ცენტრს — ლონდონელებს ბოლო ექვს მატჩში გოლი არ გაუშვიათ. „ლიდსმა“ კი, მოგეხსენებათ, კრიზისიდან თავის დაღწევის გზა იპოვა. ბაჰრეინელმა შეიხმა აბდულრაჰმან ალ ხალიფამ კლუბის გადასარჩენად დიდძალი ფულის გამოსვლა გადაწყვიტა, თუმცა საეჭვოა, შეიხის ფულებმა გუნდის თამაშს კვალი დაუყოვნებლივ დაატყოს.

მანჩესტერელთა საუკეთესო ფეხბურთელებს, როი კინს, რუუდ ვან ნისტელროის, რაიან გიგზს და რიო ფერდინანდს ოთხშაბათს ლიგის თასზე არ უთამაშიათ. შესაბამისად, „ასტონ ვილას“ ოთხივენი დასვენებულები დაუხვდებიან. აქვე გავიხსენოთ, რომ პოლ სქოულზი, ვეს ბრაუნი და ოლე გუნარ სოლსკიაერი კარგა ხანია, მკურნალობენ და მათ მომჯობინებას ჯერ პირი არ უჩანს.

„ასტონ ვილა“ კი შარშანდელის გამეორების იმედადაა — წინა სეზონში ბირმინგემელებმა „ოლდ ტრეფორდიდან“ ქულა წაიღეს.

„ლესტერმა“ წინა ოთხ თამაშში ათი ქულა დააგროვა, ალმაცლობის გზაზეა და „არსენალს“ არცთუ უიმედოდ ხვდება. მასპინძლებს თურქი ნახევარმცველი მაზი იზეტი დისკვალიფიცირებული ჰყავთ, მაგრამ მაინც არხეინად არიან — პოლ დიკოვმა, ენდრიუ იმპიმ და გერი ტაგარტმა ტრავმები სწორედ საამმატჩოდ მოიშუშეს.

მეორე მხრივ, არც „არსენალი“ აპირებს ხელების აწევას. „მეთოფეებთან“ მთავარი ამბავი ის არის, რომ ორთვიანი მკურნალობის მერე მოედანს უბრუნდება პატრიკ ვიეირა. ამასთავანე ბრუნდებიან რეი პარლოუ და დისკვალიფიკაციამოხდილი მარტინ კიოუნი. მცველი ლორენი კი ისევ დასჯილია. დავძინოთ, რომ ლიგის თასზე „არსენალმა“ „ვულვერჰემპტონთან“ მეორე შემადგენლობით ითამაშა.

მეოთხეადგილოსანი „ფულემი“ „ბოლტონ უონდერერზს“ მასპინძლობს. ლონდონელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარი დღეს უფრო მშვიდად იდგება კარში, რაკი წინა ტურში თვით „ჰაიბერიზე“ არსენალელებს არ დაანება გოლის გატანა. სტუმრებს კი განსაკუთრებით სტიდ მალბრანკისა და ლუის საჰასთვის მართებთ ყურადღების მიქცევა, თავად კი მარიო ჟარდელის იმედი აქვთ, რომელმაც წინა მატჩში „ლივერპულს“ მესამე წუთზევე გაუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



EL CLASICO



# ბარსელონა VS რეალი

*დიახ, დღეს ამბავია: „ბარსელონა“ უკვე მერამდენედ მასპინძლობს „რეალს“. ეს საუკუნო ამბავია და როგორც ფეხბურთი არ დამთავრდება არასდროს, ისე არ დამთავრდება ესპანეთის ორი დიადი გუნდის მეტოქეობაც.*

*მადრიდის „რეალს“ აეროპორტიდანვე პოლიციის გაძლიერებული რაზმები დაიფარავენ კატალონიელი გულშემატკივრების რისხვისგან და მოქიშპე გაზეთები, მადრიდული „მარკა“ და ბარსელონური „სპორტი“ უკვე ქოქავენ მოქიშპე მილიონებს ერთმანეთის წინააღმდეგ*

# გოჭის თავების მოლოდინში

## პირველი გრან კლასიკო ბექემისთვის რონალდინიოს გარეშე

Mავალ ფეხბურთელები კი მგონი დაძმობილებული იერით აპირებენ მოედანზე გასვლას. თხუთმეტი წლის წინათ მადრიდმა დიდად დაუჭირა მხარი იმას, რომ 1992 წლის ოლიმპიადა ბარსელონაში გამართულიყო. ახლა მადრიდი იბრძვის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ. ჰოდა, ბარსელონაც გვერდში უდგას. ამბობენ, რომ დღეს „ნოუ კამპის“ გვირაბიდან ოცდაორივე ფეხბურთელი ხელჩაკიდებული გამოვა, საგანგებო მაისურებზე კი მადრიდის მასპინძლობის მხარდამჭერი ლოზუნგი ეწერებათ.

მაგრამ ამ დროს, დიადი „კამპ ნოუს“ ზედა ტერასებიდან ევებ შემწვარი გოჭის თავიც გამოფრინდეს. განსაკუთრებით იმ ადგილისკენ, სადაც ლუიშ ფიგუ, „ბარსელონას“ დიადი მოღალატე იდგება. მას ასე შეახსენებენ, რომ ფული ყველაფერს არ ნიშნავს და უძლომელი მხოლოდ ღორია.

ასეთი რამ ზუსტად თორმეტი თვის წინათ მოხდა „კამპ ნოუზე“, როცა ფიგუს იქაურმა პუბლიკამ ობსტრუქცია მოუწყო და მოგვიანებით, გოჭის თავს ბოთლების წვიმაც მიაყოლა, ფიგუ კი თითქოს ჯინაზე, უდარდელად დაბოტებდა ფლანგზე, ბოთლებს განზე ისროდა და კუთხურის ალამთან ბურთსაც კარგა ხანს ასწორებდა: მე კუთხურს ვაწვდი, რაც გინდათ ისროლეთო.

2000 წელს მსაჯმა ოქმში ჩაწერა, რომ გრან კლასიკოს მსვლელობისას მინდვრის კიდიდან აკრიფეს ხურდა ფული, რამდენიმე მობილური, ვისკის ბოთლი და ველოსიპედის საჭე.

დრო არ კურნავს ჭრილობებს და არ აქარწყლებს ეჭვს. ბევრს ახსოვს, რომ შარშან მსაჯმა მოედნიდანაც კი გაიყვანა გუნდები, რადგან ფიგუს კუთხურის მოწოდებას მაყურებლები არ აცლიდნენ. მაშინ „კამპ ნოუს“ ორი თამაშით მიესაჯა დისკვალიფიკაცია, მაგრამ კლუბმა საქმე სასამართლოში გადაიტანა და გაუმართლა კიდეც. ესპანური მართლმსაჯულება მეტად ნელია და ის ორმატჩიანი სასჯელი ჯერაც არ ასრულებულა.

„ბარსას“ ახალმა პრეზიდენტმა, ხუან ლაპორტამ კლუბის გულშემატკივარ ხულიგანთა ბრბოებს აგრძნობინა, რომ მათ მხარეს არასოდეს იქნება და შესაბამისი პოლიტიკის გატარებაც დაიწყო, მაგრამ საკუთარი სახლის კედლებზე სასიკვდილო მუქარის წარწერები აღმოაჩინა. თავისი რადიკალიზმით განსაკუთრებით ცნობილია „ბოიხოს ნოისის“ საძმო. თუმცა, ამჯერად ფიგუ აღარ ჩააწვდის კუთხურებს. მის ხაზგასმულ უდარდელ სიმშვიდეს თავის დროზე ხუან გასპარმა პროვოკაციული უწოდა, მადრიდში კი კუთხურების ახალი ოსტატი ჰყავთ, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი დევიდ ბექემი.

წინდაწინვეა გამოცხადებული, რომ კუთხურებს ბექემი ჩააწვდის, ისე როგორც მადრიდის „რეალის“ ყოველ თამაშში.

თუმცა, რამდენად მოერიდება „კამპ ნოუ“ ორდენოსანი ბექჰის შეწუხებას, ძნელი სათქმელია. ბარსელონაში ის გვარიან მტრად მიაჩნიათ, რადგან ხუან ლაპორტას საარჩევნო კამპანია სწორედ მის გადმობირებაზე იყო აგებული, საბოლოოდ კი ინგლისელთა კაპიტანი „ბერნაბეუზე“ აღმოჩნდა.

ასე რომ, ბექემს დღეც არ გაუტარებია ბარსელონაში და მთლად ფიგუსნაირი არა, მაგრამ გვარიანი მტერია. ასიათასიანი სტადიონი პირთამდე სავსე იქნება, ხოლო მსოფლიოში ისე ხმამაღლა ვერავინ იძახის „შე ბოზიშვილოს“, როგორც ასიათასი ბარსელონელი.

„ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა რადიოს განუცხადა, რომ მადრიდელთა წინააღმდეგ „კამპ ნოუ“ ხმადაბლა და ზრდილობიანად დაუსტვენს.

ცხადია, იხუმრა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაიგებდი, იხუმრა თუ სერიოზულად თქვა. ბარსელონურმა „სპორტმა“ კი ყდიდან მოუწოდა მტერ მადრიდელებს: პროვოკაციებს ნუ დაგვიწყებთ!

სხვა მხრივ კი, „რეალს“ 20 წელიწადია არ მოუგია „კამპ ნოუზე“, მაგრამ შარშაNწინ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან გამოაგდო „ბარსელონა“.

სტივ მაკმანამანი ამბობს, რომ გრან კლასიკო ძალიან ვნებიანი, ხმაურიანი და უბრალოდ შეშლილი თამაშია, „კამპ ნოუ“ კი ფანტასტიკური სტადიონი, სადაც მაყურებელი მადიანად ჭამს ბანანებს, როცა „ბარსა“ კარგად თამაშობს. გარი ლინეკერს კი ახსოვს გოლი, რომელიც როგორც „ბარსას“ თავდამსხმელმა 1986 წელს გაუტანა „რეალს“ „კამპ ნოუზე“: ამ სიძლიერის ხმა არ არსებობს, კიდევ კარგი იქ ჭერი არ იყო, პირდაპირი მნიშვნელობით ჩამოინგრეოდა.

ბექემისთვის ეს პირველი გრან კლასიკოა. გასულ უქმეებზე „რეალს“ ბასკების ქალაქ პამპლონაში, „ოსასუნასთან“ ჰქონდა თამაში და იქიდან მხოლოდ ქულით დაბრუნდა, ოთხშაბათს კი მადრიდული დერბი იყო ლეიბებად წოდებულ „ატლეტიკოსთან“. იქ იყო 33 წლის დიეგო სიმეონე, იგივე ჩოლო, ის კაცი, რომელმაც 1998 წლის მსოფლიოს თასზე ბექემი მინდვრიდან გააძევებინა მსაჯს. ჩოლო „ატლეტიკოს“ ნამდვილი კერპია, იტალიაში მოგზაურობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საყვარელ ქალაქს. „რეალმა“ მოიგო, სიმეონე და ბექემი კი სტატისტიკოსთა მოწმობით, საერთოდ არ გაკარებიან ერთმანეთს ამ თამაშისას.

გასულ ზაფხულს, ბექემის სახელის მყვირალმა ხუან ლაპორტამ საბოლოოდ რონალდინიო მიიყვანა გუნდში, თუმცა ესეც წინდაწინვეა ცნობილი, რომ ბრაზილიელი, რომლის დარტყმამაც ინგლისის ნაკრები ბოლო მსოფლიოს თასიდან გამოაბუნძურა, ვერ ითამაშებს.

ბექჰი კი როგორღაც უბრალოდ უყურებს თავის პირველ გრან კლასიკოს: „ბევრ ასეთ მატჩში მითამაშია, დერბის თამაშებში გამიტანია გოლები და ვიცი ეს განწყობა. „ელანდ როუდი“ და „აპტონ პარკი“ ყველაზე მძიმე სტადიონებია სტუმარი ფეხბურთელისთვის, ესეც მძიმე ყოფილა.“

ერთიც, „კამპ ნოუ“ ის სტადიონია, სადაც ბექემის ორ კუთხურს „მანჩესტერისგან“ ჩემპიონთა თასის მოგება მოჰყვა.

გუშინწინ ბექემმა თავისი პირველი ესპანური რადიოინტერვიუ მისცა მადრიდის სადგურ „კადენ სერ“-ს და განაცხადა, რომ ესპანურს მონდომებით სწავლობს და ბედნიერია ამ ჯადოსნურ ქალაქში და საოცარ გუნდში.

ბექჰი არასოდეს ყოფილა ფრიადოსანი, ყოველთვის სამოსანი იყო და ახლაც, ესპანურად მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს თამამად და ისიც ინგლისური აქცენტით. ეს სიტყვებია: ხამონ (შებოლილი, დამარილებული ლორი — უპოპულარულესი ესპანური საჭმელი) და სინკო (ანუ ხუთი, რაიც ზინედინ ზიდანის ნომერია).

საერთოდ, ბექემმა იქვე აღნიშნა, რომ ზიზუ ნომერი პირველია მსოფლიოში დღეს მოთამაშე ფეხბურთელთა შორის: „ბედნიერება და საოცრებაა, როცა მოედანზე მის გვერდით ხარ.“

„რეალის“ ბიჭების დახასიათებისას ინგლისელმა თქვა, რომ რობერტო კარლოსი ახლადჩამოსულს უფროსი ძმასავით ამოუდგა მხარში, ყოველ ნაბიჯზე ეხმარებოდა და ყველაფერს ასწავლიდა. ის და რონალდო ყველაზე ხალისიანი ბიჭები არიან გუნდში და ყველაზე შინაურულებიცო.

„რაული ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ხელი ჩამომართვა აქ მოსვლისას. ის მადრიდში მეფეა და მისთვის არ არის იოლი, როცა ყოველ წელიწადს ახალი ვარსკვლავი მოდის გუნდში, მაგრამ გამორჩეულად კარგად მომექცა“ — თქვა ბექემმა. ყველაზე დიდი მეგობრობა კი ახალწვეულს მიჩელ სალგადოსთან გაუბამს, ის ინგლისურად ელაპარაკება, ეს კი ესპანურად. არიან და ასწავლიან ერთმანეთს. წინა კვირაში, როცა დედოფალმა ორდენი გადასცა ბექჰს, ის კი მადრიდში დაბრუნდა, გასახდელში შესულს მთელი გუნდი მუხლებზე დაჩოქილი დაუხვდა და უწყეს ძახილი, თავს როგორ გრძნობთ თქვენო უდიდებულესობავო.

მის უდიდებულესობას თურმე მთელი კვირაა ეძახიან ბექემს, მაგრამ იმედოვნებს, მალე მიავიწყდებათო.

რადიოში ბექემმა ერთი საიდუმლოც გაამხილა: „რეალში“ შუა მოედანში ვთამაშობ, ვფიქრობ, რომ ჩემთვის საუკეთესო სეზონი მაქვს და მინდა ნაკრების მწვრთნელს ვთხოვო, ევრო 2004-ზეც იგივე პოზიცია მიბოძოსო. არა, სადაც მეტყვიან, იქ დავდგები, ოღონდ უკვე ასე მირჩევნიაო.

ეს იქეთ იყოს და... გახურდა თამაში, ბურთი გადავიდა, ბექჰი კუთხურის მოსაწოდებლად წავიდა და ამ დროს „კამპ ნოუს“ ტერასიდან ყვირიან: ეი, ბლონდი, შენ მთელ ინგლისში ყველაზე დიდი ბოზიშვილი ხარ...

ზუსტად ასე თავდება ცნობილი ფილმი: კარგი, ცუდი, ავი.

მაგრამ გრან კლასიკო არასოდეს მთავრდება და ფეხბურთელიც იმისაა, რომ ულტრებს, გიჟებსა და უზრდელ ვირიშვილებს ყურადღება არ მიაქციოს.

**ირაკლი გამყრელიძე**




ეი, ბლონდი, შენ მთელ ინგლისში ყველაზე დიდი ბოზიშვილი ხარ!

# რონალდოს რადიოინტერვიუდან

*ოდინდელმა ბარსელონელმა რონალდო ლუის ნასარიო და ლიმამ „რადიო მარკას" ჟურნალისტებთან შეხვედრისას დღეს „კამპ ნოუზე" კატალონიური გრანდის მცირე ანგარიშით (0:1) დამარცხება იწინასწარმეტყველა. კიჟამ ოკეანისგაღმელ მედიის წარმომადგენლებს „რეალის" გოლის ავტორიც არ დაუმალა. „მოვიგებთ 0:1-ს, ხოლო გამარჯვების ბურთს მე შევაგდებ" — თავდაჯერებულად განაცხადა რონალდომ*




**სამეფო გუნდის** მე-9 ნომერი კასტილიურ რადიოსტუდიაში ფრიად სიტყვაუხვი გახლდათ.

„მადრიდის „ატლეტიკოსთან" ბრწყინვალედ ვითამაშეთ, თუმცა ოთხშაბათის ლამაზი ფიესტა შაბათის ბარსელონურ შერკინებაში ვერაფრით დაგვეხმარება. ახლა „ათლეტებთან" მიღწეული წარმატება უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ რაიკარდის ბიჭებთან ომზე ვიფიქროთ. დედაქალაქური დერბის დაკნინება არ მსურს, მაგრამ „კამპ ნოუზე" მთელი საფეხბურთო სამყარო ალბათ გაცილებით უფრო დაძაბულ ბრძოლას იხილავს" — ივარაუდა რონიმ.

„მარკას" შეკითხვაზე, „ბარსელონამ" წინა ტურში „მალაგასთან" 1:5 წააგო და თქვენი აზრით, მასპინძლები „რეალს" დათრგუნვილნი ხომ არ დაუხვდებიანო, ექსკატალანმა უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა: „მსგავსი რამ გამორიცხულია. წინ ურთულესი მატჩი გველოდება და უბრალოდ, სასწაული იქნება, იქაურებმა ძლიერი წინააღმდეგობა რომ არ გაგვიწიონ". ერთი სიტყვით, რონალდო, რომელიც ჯერჯერობით პრიმერას მთავარმეგოლე გახლავთ (11 გატანილი ბურთი), საკუთარი ოქროს მარაგის შევსებას დღეს „ბარსას" ხარჯზე აპირებს, რაც ადვილი რომ არაა, მშვენივრად მოეხსენებათ.

მადრიდელი ხოსე მარია გუტიერესი რონალდოს მსგავსად მსოფლიოს უშეღავათო ჯახის შესახებ აუწყებს. „რეალის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში გუტიმ ბარსელონელების ჯიუტ შემართებაზე ილაპარაკა: „მალაგასთან" ასე უჩველოდ განადგურების შემდეგ „ბარსა" „კამპ ნოუზე" მხოლოდ მოგებას ეცდება. „რეალიც" მეტოქეს არაფერს დაუთმობს. ამ თამაშის წინასწარ წარმოდგენაც კი მიჭირს — ისინი სამეფო გუნდთან ნებისმიერ შერკინებას როგორც ომს, ისე უყურებენ." წმინდა საფეხბურთო დაპირისპირების გარდა, კასტილიელმა ნახევარმცველმა კატალონიელ ინჩასთა გადამეტებული ქომაგობაც მოიხსენია და იმედი გამოთქვა, რომ „კამპ ნოუზე" შარშანდელი ეგრეთ წოდებული „ფიგუს სინდრომი" აღარ განმეორდება.

„ელ კლასიკოს" ჯოჯოხეთური სირთულე მასპინძელთა ბანაკსაც კარგად ესმის. სავიოლას თქმით: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან პრიმერას ლიდერი ჩამოდის, „ბარსელონა" კი ამჟამად მხოლოდ მეცხრეადგილოსანია, „კამპ ნოუს" ინჩასობა სტუმართა ძლევის მომსწრე გახდება. კეირუშის გუნდის მთავარი ძალა ნახევარდაცვა-თავდასხმის სწორუპოვარი ხაზია, ამიტომაც ვეცდებით, რომ მადრიდელები ბურთს რაც შეიძლება ნაკლებად შეეხონ. „რეალი" ამ შეხვედრას ვერ მოიგებს".

კასტილიური გრანდის შიში მეორე ბარსელს, ჰოლანდიელ ფილიპ კოკუსაც არ აქვს. „სამ მატჩში ერთი ქულა ავიღეთ და დროა, უიღბლობა სანაგვეზე მოვისროლოთ. მერწმუნეთ, „რეალის" საპრიმერო თაოსნობა ჩვენთვის არაფერს ნიშნავს, ისევე როგორც მინდორზე არავინ ფიქრობს ძველ თუ ახალ საპატიო ტიტულზე. დიდ დერბიში მხოლოდ ღირსეული გაიმარჯვებს" — უთხრა კატალონიურ „სპორტს" ნიდერლანდელმა ვეტერანმა.

**ლადო ხომერიკი**

## ესპანეთი

| | | |
|---|---|---|
| **XV ტური** | | |
| **დღეს** | | |
| დეპორტივო | — | მალაგა |
| სოსიედადი | — | ბეტისი |
| ბარსელონა | — | რეალი |
| ოსასუნა | — | სელტა |
| **ხვალ** | | |
| ალბასეტე | — | რასინგი |
| ატლეტიკო | — | ესპანიოლი |
| სევილია | — | სარაგოსა |
| ვალენსია | — | ბილბაო |
| მალიორკა | — | ვალიადოლიდი |
| მურსია | — | ვილიარეალი |

**საადგილო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 14 | 9 | 3 | 2 | 29:15 | 30 |
| ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 27:11 | 28 |
| დეპორტივო | 14 | 8 | 3 | 3 | 22:11 | 27 |
| ოსასუნა | 14 | 6 | 5 | 3 | 15:10 | 23 |
| ატლეტიკო | 14 | 7 | 1 | 6 | 17:18 | 22 |
| ბილბაო | 14 | 6 | 3 | 5 | 18:16 | 21 |
| მალაგა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 20 |
| ბარსელონა | 14 | 5 | 5 | 4 | 18:18 | 20 |
| რასინგი | 14 | 6 | 2 | 6 | 18:19 | 20 |
| ვილიარეალი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:15 | 20 |
| ვალიადოლიდი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:21 | 20 |
| მალიორკა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:22 | 20 |
| სევილია | 14 | 4 | 6 | 4 | 20:16 | 18 |
| სარაგოსა | 14 | 4 | 4 | 6 | 15:17 | 16 |
| სელტა | 14 | 3 | 6 | 5 | 17:19 | 15 |
| ბეტისი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:18 | 15 |
| სოსიედადი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | 15 |
| ალბასეტე | 14 | 4 | 1 | 9 | 15:21 | 13 |
| მურსია | 14 | 1 | 7 | 6 | 13:25 | 10 |
| ესპანიოლი | 14 | 2 | 2 | 10 | 10:26 | 8 |

## გერმანია

დავით თავართქილაძე

# მუსიკა სუსხში

## ტომის ჯერი — ვინ იქნება წრუწუნა დორტმუნდში?



ანდრეას ტომი

**სუსხიან** ბრემენში დათბება — „ვერდერი" მიუნხენის „ბაიერნს" მასპინძლობს და სხვანაირად არ გამოვა. ბავარიელებს მიხაელ ბალაკი არ ეყოლებათ, ვინც ტრავმას იშუშებს. „ბაიერნს" მოგება იმადაც სჭირდება, რომ დამდეგ კვირას ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ანდერლეხტი" ჰყავს დასამარცხებელი, თუ არა და, ლიგას დაემშვიდობება.

განწყობა არც „მუსიკოსებს" დაეწუნებათ — ოთხშაბათს გერმანიის თასზე ბერლინის „ჰერტა" ჩააპირქვავა 6:1.

ალექსანდრე იაშვილს საზარდული უკეთ აქვს და „ბოხუმის" წინააღმდეგ ალბათ ითამაშებს. მოკლედ, „ფრაიბურგი" ჯანზეა, მაგრამ „ბოხუმი" ერთობ ძლიერი გუნდია და იაშვილ-ცქიტიშვილს ძალიან რთული მატჩი ელით. ამ გუნდების ბოლო ბუნდესლიგური მატჩი ფრაიბურგში 5:0 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდ, თუმც დღეს სხვა ვითარებაა — ბოხუმელთა ასეთი ანგარიშით მძლეველი გუნდი გერმანიაში არ მოიძებნება.

ლევან კობიაშვილის „შალკემ" თითქოს თვალებში გამოიხედა და მისგან „გლადბახის" ძლევას ელიან. გლადბახელებს ტრადიციულად უჭირთ გელზენკირხენში თამაში, სადაც 1992 წლის აქეთ არ გაუმარჯვიათ.

ბუნდესლიგაში ჯერაც დაუმარცხებელი „შტუტგარტი" „ჰამბურგს" მასპინძლობს. ლიდერს ის უპირატესობა აქვს, რომ „ჰამბურგის" პირველი მეკარე მარტინ პიკენჰაგენი მუხლზეა ნაოპერაციევი და ვერ ითამაშებს.

რთული გასვლა ელის „ლევერკუზენს" მიუხედავად იმისა, რომ „კიოლნს" რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული ჰყავს. თუმც ბოლოადგილოსანი „კიოლნი" ძნელად გასატეხი გუნდია, ბრძოლისუნარიანი და ჟინიანი. სტატისტიკურად უპირატესობა ფარმაკოლოგთა მხარესაა — ბოლო შვიდი საშინაო მატჩიდან „ლევერკუზენთან" კიოლნელებმა მხოლოდ ერთხელ მოიგეს.

ლაზარეთად ქცეული დორტმუნდული „ბორუსია" იმ „ჰერტას" მასპინძლობს, გერმანიის თასზე 1:6 რომ წააგო „ვერდერთან" და მთავარი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი მოუხსნეს. ბერლინელებს ახლა „ჰერტას" და ბუნდესნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ანდრეას ტომი წვრთნის დროებით.

მიუნხენში „1860" ბოლმიანად დაუხვდება როსტოკის „ჰანზას". საქმე ისაა, რომ წინა სეზონში როსტოკელებმა სტუმრად 2:0 მოუგეს „ცისფერ ლომებს". მიუნხენელებს არ ეყოლებათ წამყვანი ფორვარდი ბენჟამენ ლაუტი, ვინც წინა ტურში გააძევეს და დისკვალიფიცირებულია.

15 წლის შემდეგ ბუნდესლიგაში პირველად წარსდგებიან ერთმანეთის წინაშე „აინტრახტი" და „ჰანოვერი". მასპინძლებს არ ეყოლებათ დაშავებული მხცოვანი პლეიმეიკერი ანდრეას მიოლერი, ხოლო „ჰანოვერი" დისკვალიფიცირებულ შუახაზელ ნებოისა კრუპნიკოვიჩს მოისაკლისებს.

დისკვალიფიკაცია მოიხადა და „ვოლფსბურგს" დაუბრუნდა არგენტინელი ნახევარმცველი ანდრეს დალესანდრო. მისი თანაგუნდელი და თანამემამულე ფორვარდი დიეგო კლიმოვიჩი კი კვლავაც დისკვალიფიცირებულია. დანაკლისია, „ლაუტერნშიც" — დაშავებულთაგან ყველაზე ფასეულნი ეგვიპტელი მცველი ჰანი რამზი და შვეიცარიელი შუახაზელი ჩირიაკო სფორცა არიან.

| | | |
|---|---|---|
| **XV ტური** | | |
| **დღეს** | | |
| ვოლფსბურგი | — | ლაუტერნი |
| აინტრახტი | — | ჰანოვერი |
| ფრაიბურგი | — | ბოხუმი |
| შტუტგარტი | — | ჰამბურგი |
| ვერდერი | — | ბაიერნი |
| მიუნხენი | — | ჰანზა |
| დორტმუნდი | — | ჰერტა |
| **ხვალ** | | |
| კიოლნი | — | ლევერკუზენი |
| შალკე | — | გლადბახი |

**საადგილო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 14 | 10 | 4 | 0 | 22:3 | 34 |
| ვერდერი | 14 | 10 | 2 | 2 | 38:18 | 32 |
| ლევერკუზენი | 14 | 9 | 4 | 1 | 30:12 | 31 |
| ბაიერნი | 14 | 8 | 4 | 2 | 32:18 | 28 |
| დორტმუნდი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:21 | 23 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 25:16 | 22 |
| ვოლფსბურგი | 14 | 6 | 0 | 8 | 28:29 | 18 |
| მიუნხენი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:19 | 18 |
| ჰანოვერი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:31 | 18 |
| ფრაიბურგი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:25 | 18 |
| შალკე | 14 | 4 | 5 | 5 | 18:21 | 17 |
| ჰამბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:26 | 16 |
| ჰანზა | 14 | 4 | 3 | 7 | 19:22 | 15 |
| ლაუტერნი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:24 | 14 |
| გლადბახი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 |
| აინტრახტი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:22 | 11 |
| ჰერტა | 14 | 2 | 5 | 7 | 13:28 | 11 |
| კიოლნი | 14 | 2 | 2 | 10 | 11:25 | 8 |

„კაიზერსლაუტერნს" ჩამოჭრილი აქვს 3 ქულა

### მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

D ჯგუფი. III ტური
კოლუმბია 0:0 ინგლისი
იაპონია 0:1 იაპონია

E ჯგუფი. III ტური
სლოვაკია 0:0 კოტ დივუარი
ირლანდია 2:0 მექსიკა

F ჯგუფი. III ტური
პარაგვაი 2:0 გერმანია
აშშ 2:0 კორეა

### ჰოლანდია

I დივიზიონი XIV ტური
როდა — აიაქსი გადაიდო

II დივიზიონი XVII ტური
გრააფსხაპი 4:0 ვოლენდამი
იმინი 1:1 აპოლდორნი
დენ ბოსხი 5:1 კამბური
დორდრეხტი 1:3 ტილბურგი
სიტარდი 2:4 ეინდჰოვენი
იგლსი 4:4 ოსი
ჰილვერსუმი 1:1 ჰერაკლესი
სპარტა 4:1 ეინდჰოვენი
ვენლო 1:0 მაასტრიხტი

### ინგლისი

ასოციაციის თასი. II ეტაპი
უიკომბი 1:1 მენსფილდი

### ბელგია

იუბილეის ლიგა. XV ტური
სტანდარდი 3:1 ბრიუგე

### თურქეთი

სუპერლიგა
XV ტური
ბეშიქთაში 2:1 ადანა

### გერმანია

II ბუნდესლიგა
XV ტური
დუისბურგი 2:2 აუე
ტრირი 1:1 კარლსრუე
რეგენსბურგი 0:2 ბურგჰაუზენი

სამხრეთ
რეგიონალლიგა
XIX ტური
ოფენბახი 1:0 შტუტგარტი (მ)

### პორტუგალია

სუპერლიგა
XIII ტური
ბოავიშტა 1:0 მორეირენსი
მარიტიმუ 2:2 პორტუ

### საფრანგეთი

I დივიზიონი
XVII ტური
ლიონი 2:1 ბიცი
მარსელი 1:2 მონაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა





# GERMANY 2006

ბურთიანი სამყაროს ცენტრადქცეულმა მაინის ფრანკფურტმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის კენჭისყრა მიიღო და იყო ერთი მტლაშა-მტლუში. სადაც ბურთულა გაჩხარუნდება ეს მსოფლიო ხალხიც იქ დაიბადება. აგერ მთელი ამ კამპანიის და 2006-ის ჩემპიონატის შეფმზარეული კაიზერ ფრანცი პელეს ეხვევა (აბა, პელეს გარეშე როგორ შეხვდება საქართველოს მომავალ მეტოქედ ალბანეთი). კიდევ იქა ტრიალებს კოლინა, გერმანული ნაციის სიამაყე შუმახერი და ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი ქალი ბრანდი ჩასტაინი.

ხოლო „სუდიასა" და „შოფრის" წინ გაჯგიმული კაცის ცნობა მთლად სავალდებულო არაა. მისმა დარბაისელმა იერმა არ მოგატყუოთ, ის არც ლეგენდარული სპორტსმენია და არც ფიფას ჩინოვნიკი, პლუს ფონოგრამით მომღერალი ერთი გერმანელი შოუმენია, რომელიც ცერემონიალზე პაუზების შესავსებად და ბურთულებზე მზერამიჯაჭვული მილეთის განსამუხტად დაიქირავეს.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ჩუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეჩაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ეკატო დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge